

10

• СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWJETKUNST

ԵՆԿՄՈՂ

ԵՆԿՄՈՂ

1966



საქართველო საზოგადოებრივი განვითარების


თავისუფალი
აზროვნის
აღმშენებლის
ქონის
საზოგადოებრივი
საგანმანათლებლო





შელიმხან გოგოლაშვილი

შოთა რუსთაველი



„საბჭოთა ხელმწიფის“ ეს მოქმედი მიქაელა
გენიერები ქართველი მოხელეა და მოხარების
შობა კანთარაძის დაგეგმვის 800 წლისთვის



მეფის შიშ

მიქაელა

დიმიტრი ყიფშიძე

შოთა რუსთაველი (1966)



შ

ედის სიმღერად მოგვესმის
რუსთაველის ხმა:

„ვა, სოფელო რაშიგან ხარ,
რას გვებრუნებ, რა ზნე გჭირსა.
ყოელი შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი საღით ძირსა?!
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა.“

იაკობ ნიკოლაძე
შოთა რუსთაველი (1935)



რუსთაველი ჩვენთანაა

ოთარ ევაძე

ზედი ჰქონია საქართველოს, რაკი რუსთაველი არ დაეკარგა. ბედი გვექონია ჩვენც, რაკი ორჯერ მოვესწარით უდიდესი მგოსნისა და მოაზროვნის დაბადებას — პირველად 1937 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის შვიდნახევარ საუკუნეს რომ ვითვლიდით, მეორედ კი ახლა, რუსთაველის დაბადების რვაას შემოდგომას რომ ვიხდით.

მაგრამ არ დაგვეწყებია მესამეც, შოთას გულისტკივილიც: „ვა საწუთროთ, სიცრუით თავი სატანას ადარე! შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე; პირი მზისაგერ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე?“

სატანის სადარ, სიცრუით სავსე საწუთროს იმ საუკუნეს და წლებს ვისხენებთ, როცა რუსთაველს ჩვენთან ყოფნას უძნელებდნენ.

— ვინ იყვნენ ისინი?..

ვინ გაისხენებ. — ზოგი ისეთი, ვინც შოთას უკვდავებაში საკუთარ მოკვდაობას ხედავდა და, მასმორევე, შეჩვენებას იმათ უთვლიდა, ვინც სულმნათი მგოსნის წმინდა აზრებს ეზიარებოდა.

ზოგიც უცხოინი, შოთას სახეს კირით რომ შლიდნენ ქართულ ტაძრებში და თავიანთებურ წირვა-ლოცვას გვიყენებდნენ ჩვენსავე საყდრებში.

ისეთიც იყვნენ, რუსთაველის სახელს ახალი დროების მოქიშვედ რომ თვლიდნენ და „ვეფხისტყაოსნის“ შეპირად დახსომებას კი არა, წაკითხვასაც საძრახისად მიიჩნევდნენ.

ასე შეეცადნენ მგოსნის დაღუმებას, მაგრამ იგი მაინც მკვდრეთით სდგებოდა.

ეს ახსოვს საქართველოს მრავალ თაობას, გვახსოვს იმათაც, ვინც თვითონაც შევესწარით, მაგრამ უფრო ბედნიერნიც ვართ შოთას სახალხო ზეიმს რომ მოვესწარით:

„უმსგავსო საქმე ყოველი მოკლვა, მით ოხერია“.

მაგონდება 1934 წელი, აგვისტო, მოსკოვი, კავშირების სასახლის სვეტებიანი დარბაზი, მწერალთა პირველი ყრილობა. მარმარილოს სვეტებზე გამოფენილი დიდი პორტრეტები: დანტე, სერვანტესი, შექსპირი, აუშკინი, გორკი და ბევრი სხვა, სწორედ იმდენი, რამდენიც სვეტია იმ ვეებერთელა დარბაზში.



სერგო ქობულაძე

შოთა რუსთაველი (1937)

დინოს გლეხებს 1918 წლის სამოქალაქო ომის ცხარე დღეებში დაუდგენიათ:

„ამ ადგილას უნდა უკვდავყო დიდი პოეტის ა. ს. პუშკინის (ჩვენი მემამულის) სახელი, აგრეთვე ჩვენი რუსეთის დიდი რევოლუციის დღეც, რისთვისაც ერთხმად ვადგენთ: აღნიშნული სახლი ყველა თავისი მინაშენით, მალითა და საბატონო მიწებით აყვანილი იქნას აღრიცხვავზე დასაცავად“.

ასე დაიცვა «მემამულე პუშკინი» ბოლდინოვლმა გლეხმა. ასე როდი დაიცვა ახატუნელმა ბერბიჭაშვილმა «მემამულე ჭაჭავაძე».

მაგრამ, ახალდროების წყალდიდობამ მალე გარიყა ზედაპირზე მოგდებული ქაფი, დაწნდა, დაიწმინდა და შოთაც ისევ აკიაფდა. რევოლუციის მონაგარი რუსთაველის აზრითაც გამრაველდა და ახალი საზოგადოების მორალურ კოდექსად იქცა.

ამიტომაც გვახარებს შოთას დაბადების მრგვასზე გაზაფხული, მისი უკვდავი პოემის შედიასორმოდებათი შემოდგომა და ნუ გაიკვირებენ, თუ ამ ბედნიერ დღეებში ის წუთებიც გავისხენეთ, რაზეც შოთაც გულისტკენით იტყოდა:

„გულმან, გლას, რა ქმნას უგულოდ, თუ გულსა გული ელია? მოშორება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია, ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე როგორ ძნელია!“

ძნელი იყო ერისათვისაც, მაგრამ ისევ რუსთაველური რწმენა და ხალხის აკაჟებდა ხალხს:

„არას გარგებს სიმძიმოლი, უსარგებლო ცრემლთა დნა; არ გარდავა გარდევალად მომავალი საქმე ზენა, წესი არის მამაცისა მოჭირება, ჭირთა თმენა“.

ჭირთა თმენამ მოიყვანა შოთა ჩვენამდე, რადგან მართლაც:

„მზისა უშუთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დაჭუნების“.

და, არც დაჭუნა. რუსთაველის აზრმა და ხედვამ, სიუცემ და სიბრძნემ, სილამაზემ და ძლიერებამ, სინაზემ და კეთილშობილებამ გააუკვდავა მისი ერიც, — უბი პატარა, მაგრამ მორუვეელი, კეთილი და დაუნთენი, მშვიდი და ფიცხი ერი, რომელიც სხებთან ერთად მაღლიერების გრძობით ზეიმობს გენიალური პოეტისა და მოაზროვნის დაბადების რვა საუკუნეს.

დაბა, ბედნიერია საქართველო, რომ რუსთაველი არ დაუკარგეს. მაგრამ, არც დაეკარგებოდა. იგი ათასი წლობით შეემზადა შოთას გენის შობას. და რა ჯამთა სიავეც არ შეყროდა, — მაინც პაბდებდა თავის გენისა:

„ბინდის გვარია სოფელი, ესე თურ ამად ბინდების, კოკასა შიგან რაცა დღას, იგივე წამოინდინების“

და, ახლაც რუსთაველი ჩვენთანაა, ხალხის სულსა და გულსა, მის ფიქრსა და სისხლსა ჩაქნილი, იგი აზრთან სიცოცხლეს გავსწავლის და ნამდვილ ცხოვრებაში გვახედებს, სასიკეთოდ გვახალისებს და უგვანობას გვაშორებს, ჩვენგანაც იმას მოითხოვს, რასაც სხებისაც ასწენებს:

„ნუ ამრუდებ უმართლესა, ნუ წაიწყებდ ამით სულსა“.

იგი გვიჩვენებს ვურთგულოთ წმინდა იდეალებს, გვკამდის იმისი, რისთვისაც დავღვარებთ სისხლი და შევწირავთ ჩვენების სიცოცხლეს, დავრჩეთ უმრუშონი და არც როდის შევლახოთ სამშობლის სახელი, გვახსოვდეს:

„რამცა სადა გაუმარჯვდა კაცს, ფიცთა გამტყველსა“,
„ოველიცის გვჯეროდეს, რომ მხოლოდ საზოგადოებრივად სასიკეთო პირად მოღვაწეობას შეუძლია ავგამაღლოს“.

მერე შესვენების წუთები, ამბურებული ვესტიბული, ჩოხოსანი შალვა დადინი, ჭადარა მალაქია ტროშელდიე, ახალგაზრდა მესარიონ ჟღენტი, გახარებულმა რომ მითხრა:

„აეანსცენასთან მარმარილოს ცარიელ სვეტს ხედავ? მარჯვენა მხარეზე რუსთაველის პორტრეტს გამოკიდებენ, მარცხნივ კი — ტარას შეფჩენკოსას. დავიწყებით. გავახსენეთ, მოვითხოვეთ და ახლა ორივეს საპატიო ადგილს მიუჩინე“.

მართლაც, ძველსა და ახალ მხატვრულ სამყაროში მთელი დიდებულებით აღმართა რუსთაველიც. საქართველოსა და უკრაინას თავფიანითი საპატიო ადგილი მიუჩინეს. მიმჩენი კი ის იყო, ვინც ორივეს კარგად იცნობდა, სხვის ენასაც პატრონობდა და არც საკუთარს ივიწყებდა.

ეს იყო დიდი სიხარულის დღე. ტროშელდიძის მოხსენება და ქართველ მწერალთა სიტყვები ჩვენი მხატვრული გენის დასტურად იქცა.

— მერე, რა ამამი უჩვეულო?!

ჰმ!.. ახლა პარადოქსად გვეჩვენება განა?! მაშინ კი, ზოგიერთი მენგორი ისევე ეჩროდა რუსთაველის ლანდს, როგორც ანტონ კათალიკოსი იმ აუგამობის ხანს. მაგრამ რუსთაველის აზრის ნათელს წინ რა დაუდგებოდა, — იმ სიმაღლეზე აღიბტორცნა, რომ ხელი ვერავის მიუწვდა.

ეს გამახსენდა ახლაც, 22 სექტემბრის „პრავდაში“ რომ «მემამულე პუშკინზე» ამოვიკითხე. რუსეთის სოფლის ბოლ-

ჭემშიარტი ადამიანობამდე. ცხოვრება იოლი გასარბენი ბილი-
კი არაა:

მაგრამ თქმულა: „კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახ-
დების“.

შოთა არც თვალბუზე გვაფარებს ხელს. ლამაზსა და მარ-
თაღს, ულაზათო და უმართებულოც უძალადებათ, მაგრამ იქ-
ნებ იმიტომაც, რომ ზოგი კაცი თავისავე მტერია:

„მტერი მტერს ვერას აცნობს, რომე კაცი თავის თავსა“.

იგი თვალს გვიხელს შურისა და ქიშინის დასახანად, ადა-
მიანის სულის მანვე წყლულის დასაძლევად, ბოროტის და სი-
ლატაკის მოსაშლელად.

„მართალ უთქვამთ მეცნიერთა: „წყენაათ ჭირთა ბაღე“.

რომ იყო „კარგისმქმნელი“ და არ ჩაეშვა სენის ჭაობში,
უნდა გჯეროდეს სიკეთის ძალის, მეგობართან ახლო დგომის
მადლისა. უნდა იყო გულიანი ადამიანი და არ დაივიწყო:

„კაცსა დასერის უგულობა“.

მით უფრო ჩვენს დროში, როცა ადა-
მიანისადმი გულიანი დამოკიდებულება
მთელი საზოგადოების გახარების სათა-
ვეა. გული გულს ახარებს და სული
სულს. ერთიც და მეორეც ჭირგანუყრე-
ლი თანამგზავნი არიან, მაგრამ განა
ყოველთვის მორიგებულნი?! მუდამ
არაა რუსთაველი დახსომებული:

„უგულო კაცი ვერ კაცობს,
კაცთაგან განაკიდიან“.

და იმიტომ კი არა, რომ:
გული კრულია კაცისა,
ხარბი და გაუძღომელი,
გულია ჟამ-ჟამ ყოველთა
ჭირთა მთმო, ლხინთა მნდომელი,
გული — ბრმა, ურჩი ხედვისა,
თვით ვერას ვერ გამზომელი“.

მხოლოდ იმიტომ, რომ:

„გული, ცნობა და გონება
ერთმანეთზედა ჰკიდიან:
რა გული წაგა, იგიცა წავლენ და
მისკენ მიდიან“.

რუსთაველი ჩვენთანაა, რაკი მოგვი-
წოდებს მთელი გულით ვემსახუროთ
ხალხს, ახალი საზოგადოებრივი ურთი-
ერთობით აღტაცებულ და წარმატება-
წარუმატებლობებით დაძაბულ შე-
მოქმედ ადამიანს, ვწუროთ მასზე და მის
თავდადებულ გარჯაზე ქვეყნისა და
ქვეყნიერების გასახარებლად, ვუმღერ-
დეთ და მხარს ვუმაგრებდეთ ფუნჯითა
და ყალბით, ვემზიდეთ აზრიან და მღელ-
ვარე ფერტილოებს, ვთხზავდეთ მგზნე-
ბარების აღმძვრელ ტაეპებს, ვძერწავ-
დეთ სინათლესა და კეთილშობილებას
და შთაგებდეთ სიბრძნესა და სიძლიერ-
ეს. მხატვრული შემოქმედება ხალხის

ბედნიერების სათავეს აღრმავეს და ალამაზებს. ხალხის
ერული ინტელიგენცია იმათი სისხლი და სორცია, ვინც
ერს წარმოადგენს, მაგრამ მარტო მის კარგად ყოფნა-
სა და სიჭარბავეზეც არაა დამოკიდებული ხალხის დღე-
მწეობა. ღონიერსა და მდიდარ ხელოვნებას მდიდარი და ღო-
ნიერი ხალხი ქმნის. ხელოვნება ხალხის გულში ზის და ხალხს
პატრონობს, ხალხი კი — მას. ისინი ერთმანეთს მფარველო-
ბენ და ნურც ყოფილიყოს, რომ ერთმანეთს გაჰყრიდნენ.
მაშინ ორთავე დაოსდება და ორივე დაობდება. ამას გვახ-
ვედრებს შოთავე:

„პატრონისა ვერა-ჭერტმან ყმაჲან რამცა გაიხარნა!“
ხალხია ყმაც და პატრონიც. ხალხის ძალაზეა დაფუძნე-
ბული მისივე ხელოვნების ნოყიერება. ვამაღლოთ ხალხი,
ამაღლებდა მისი ხელოვნებაც. ერთი მკურნალია მეორესი,
მაგრამ:

ურა ჯაფარიძე

შოთა რუსთაველი (1936)



„რა აქიმი დასწულდეს, რა ზომ გინდა საქებარი“...
 ხალხი-აქიმის სიჯანსაღე, მისი სულიერი შტო-ყლორტე-
 ბის საზრდაო, ხალხის მხატვრული აღსწევების თავდებია. მიე-
 ცი მას სილაღე და მოცემეს სიმღერდეს, ვინათ სიმძიმის
 დამძღვის თაოსნობა და აგვიცოდეს მწუნარებას. გავსოფდეს:
 „რადგან შენა აქეს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების?“
 ამას გვაგონებს და ამას გავსწავლის შოთა.

რუსთაველი ჩვენთანაა, რაკი მოვიწოდებდეს გვიყვარდეს
 ყველა, ვისაც სამეგობროდ ხელი ჩამოერთმევა. გვესმოდეს და
 ვარჩევდეთ მოყვარე-მეგობრობის მცენებას. არ დაგვავიწყდეს:
 „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია,
 არ მიეწინაბის გულთა, თუ კაცი ვინცინია“.

მაგრამ თვითონ სამეგობროდ აღზრდილი და განსწავლუ-
 ლი ადამიანი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ნამდვილ მეგობარსა
 და მოყვარეს. ეს ჩვევა და რწმენა აცოცხლებს და ასულ-
 ღმრეზულს შოთას შთამომავლებს. ეს ასოსეს ქართველ ხალხს,
 ამას ახსენებს დიდი პოეტი და ჰუმანიტი თავის მკითხვე-
 ლებს:

„აკვი ბრძენი ვერ გასწირავს, მოყვარესა მოყვარულსა“.
 ამ გზას ადგა და ახლაც მისდევს საქართველო. იგი მეგობ-
 რობას მიცემ-მოცემობაზე როდი აგებს, საჩრო-საბადებელით
 როდი სწოვებს, მეგობრობ რჯულის კაცთან ხელგონური მე-
 გობრობის ძაფის გორგალს მამონაც კი არა რთავდა, როცა კი-
 სერზე სამტრო დაშნა ედო. იმ მძიმე ჟამსაც კი მოყვარე-მე-
 გობრობათვის საკუთარი საზომი გაჩნდა. რუსთაველი ამისი
 მართალი ადლი იყო და ამით ზომავს საქართველო ახლაც:

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა,
 პირველ, ნდობა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,
 მიცემა და არა შური, ჩუქებისა არ მოწყენა,
 გატუნა და მოხმარება, მისად რგებად ველთა ბრენა“.
 შოთას შთამომავლობამ ბევრჯერ უჩვენა ხალხებს სამე-
 გობროდ მომართული თავისი გულის ძალა. ბევრი მიუხედა
 მის გულისთქმას და ჩვენს ხალხებს შორის ურღვევი მეგობ-
 რობის ხდი გაიღო, რომელზედაც თაობები გადიან და კვლავ-
 ეც ივლიან. მაგრამ, რა ჩვენი ბრალდია, თუ ზოგი ამას მოვა-
 ლეობად გვაძალგებს, მეგობრობას მორჩილებად წარმოიდგენს
 და როცა ვუვრჩებიტ დამდურებულნი ვგრჩნება. ასეთებზე უთ-
 ქამს შოთას:

„სჯობთ უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა“.
 და ისევ მოგვიხმობს — ვიყოთ ისეთი, როგორც ვერას-
 დრის ვერ იქნებთან ჩვენი გულცივი მომურნენი, გავწამდეს
 ნამდვილი მეგობრისა, თუნდაც სუსტზე-უსუსტესი იყოს იგი,
 მაგრამ სიწმინდით ძლიერზე-უძლიერესი რომ არის. ასეთ
 მეგობარს, პირადსა თუ ერისას,
 ერთისა თუ მრავლისას რუსთა-
 ველი ხობტას უძღენის და ჩვენც
 მასთან ვართ:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის
 თავი ჭირსა არ დამრიდად,
 გული მისცეს გულისათვის,
 სიყვარული გზად და ხიდად“.

რადგან სთქვა და ისევ იტყვის:
 „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.
 რუსთაველი ჩვენთანაა, რაკი ჩვენი სულიერი ძაღლობის
 გამიზობი და გამოწმურთობიც არის. რა იქნებოდა ჩვენი ერის
 აწყობ, რუსთაველის სახელიც რომ არ ამშვენებდეს. ირიბუ-
 ლად **შე** გავიგებენ, ვისაც შოთას ტოლი არც მეთორმეტე სა-
 უკუნენში ჰყოლია და არც მეცხვამი. მაგრამ მათაც აქვთ სა-
 ზომად ისეთი სანაქებო აწყობ, როცა წარსულთან შედარებით
 მათივე დღევანდლობა იალბუწივით მოჩანს. მაგრამ ვინ უარ-
 ყფობს, რომ მწვაზე მწვერავლებსაც ამშვენებს მაღალი თოვ-
 ლიანი ქიმი.

რუსთაველი მწვერავლთა ქიმი და ჭადარა კი არა, კვლავ-
 ვაც ჭაბუხე, აზრისა და ჯანის სიბრძნეს რომ გვიქადაგებს,
 ამალბებულ და ძლიერ სულს რომ უმღერის. ვუსმენთ მას და
 ვმდიდრდებით. საქართველოს რუსთაველი ჰყავს და ღარიბად
 აღარ იხსენება. ამ სიმდიდრეს გაგვაბედინა მთელი ქვეყნის
 მოწყვეტაც. ზღვა ხალხი მოიდა თბილისში და სიბრძნისა და
 კეთილშობილების ზღვას დაეწაფა შოთას მიწაზე.


„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებია“.
 დახა, ღარიბად აღარ ვისხენებით, რაკი რუსთაველი არ
 დაგვიკავებდა. ამას გრძნობთ თბილისელები, როცა რუსთავე-
 ლობაზე ჩამოსულ კეთილ სტუმრებს ხედებიან. მოყვარე-მეგობ-
 რათ გულგახსნილი შეეგება მთელი საქართველო, დიდი და
 პატარა. მეგობრობისადმი სიყვარულმა გავავადა და «სიყ-
 ვარულმა აგვამალდა». შოთამ ბრძნულად დაგვიტოვა:

„ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული“.
 დახა, მხიარული და კმაყოფილი მასპინძელი საქართვე-
 ლო, რაკი ხედავს, რომ სასურველმა სტუმრებმა უმხარულა.
 კიდევაც იმრავლონ და იღვგრძობენ იმათ, ვინც შოთას
 სახელში და დიდებამ მთა-ზღვები გადაალახებინათ, ცოც ქვეყ-
 ნებში ჩვენებურ სითბოს რომ წაიდებენ და ცხელ მხარეებშიც
 აქაურ სიმშვიდეს წაიყოლებენ.

„ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტყიცისა“.
 ჩვენმა ხალხმა ესეც ბევრჯერ დაამტყიცა. ამას ამტყიცებს
 ახლაც, როცა შოთას ნატყერფაიც კი ია-ვარდებით მოროთ.
 ამას იმრავლებს ხვალაც, რადგან ასხოს:

„ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა“.
 რუსთაველმა, მოყვარე მეგობრები გაუზარდა საქართველოს
 და ახლა ამაზე თავადაც უნდა ვიზრუნოთ. ამიტომ, — უფრო
 ვადიდოთ ჩვენი ხალხის „საქმენი საგმირონია“, ხვალაც ვთე-
 სოთ ის, რაც დღეს უკვე მომიკლია და შოთას სიბრძნეც არ
 დავივიწყოთ:

„აკაცმან საქმე მოივაროს, ვეჭვ, ჭმუნვანსა ესე სჯობდეს“.
 ასე სჯობს და ამიტომ ვი-
 გონებთ და ვსჯეიმობთ იმას, ვისაც
 უთქვამს:
 „მიღწვიან, მომიგონებენ,
 დამლოცვენ, მოვეგონები“.
 დავლოცოთ და დავილოცოთ:
 რუსთაველი ჩვენთანაა!



კოტე მერაბიშვილი
შოთა რუსთაველი

სუსთაველის გენიალურ პეიზაჟში ჩვენ გვაქვს სახსებიტ ჩამოყალიბებული თეორიული შეხედულებანი ხელოვნების როლსა და დანიშნულებაზე, მის უანრობრივ თავისებურებებზე, მხატვრული აზროვნების ესთეტიკაზე, შემოქმედისა და ახანური ობიექტის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ესთეტიკური იდეალის შეურყევლობაზე, როგორც ვხედავთ, აქ იმდენი საკითხი და პრობლემა მოგროვდა, რაც სრულად საკმარისია დიდი გამოკვლევისათვის, მაგრამ ამჟერად ჩვენ მათ შხოლოდ მამოვიხილავთ, შხოლოდ აღვნიშნავთ ამ პრობლემებს, მოგზავთ მათ კონტურებს და მივანისწებთ ერთის მხრივ სირთულეზე და მეორე მხრივ სიღრმეზე, მათს ფილოსოფიურ ასპექტზე.

მარქსისტული დიალექტიკა სინამდვილის მყნეროდ შეცნობასთან ერთად შონად ისახავს განსაზღვრულ და გაანალიზოს თვითეული მოვლენის სოციალური და ფილოსოფიური არის მხატვრული ფაქტის (ინსტრუმენტის) ვად, ეს ფაქტი რომელ ფაქტის განვითარება და რა ესთეტიკურ პოზიციებზე დგას) სოციალური რაობის შეცნობისას, დიალექტიკური კანონები, თავისი ობიექტური მუნების შემწეობით, მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური პოზიციის გარკვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. უცილობელია, რომ ყველა დიდი მხატვრული ნაწარმოები განსაზღვრული ესთეტიკური იდეალის მატარებელია, რაც ერთგვარ ასახვას პოულობს შორალშიც. ენგელსი წერდა: „ყოველ კლასს, თვით ყოველ პროფესიას თავისი საკუთარი შორალი აქვს, რომელსაც იგი ყოველთვის არღვევს, როცა ამის გაკეთება დაუჭედალ შეუძლია“¹.

ლიტერატურა და ხელოვნება, როგორც სინამდვილის მხატვრული შექმნების ფორმა, ბუნებრივია, ემორჩილება საზოგადოების განვითარების ამ დიალექტიკურ კანონს, რადგან იგი გარედან მოხვეული კი არ არის, არამედ მის შინაგანი განვითარების ლოგიკური ქაშია. ეს განვითარება დამოკიდებულია სათანადო ეკონომიკურ, ეტაპის თუ პერიოდის პოლიტიკურ-ეკონომიურ ფაქტორებზე, რაც განსაზღვრავს კიდევ მის გარედან სახეს. ამ მხრივ, „ვეფხისტყაისისში“ ასახული პატარონეშული სტრუქტურა გამონაკლისი არ წარმოადგენს და აქ ადრეულ ფეოდალურ ინსტიტუტებს უმტკიცებელი დერწეშის სახსებით ჩამოყალიბებული ქართული რენესანსის ესთეტიკა. ენგელსს ყველა ბრწონის ესთეტიკისა და შორალის თეორია ასეთი განვითარების შედეგად მიაჩნდა, როცა „ანტი-დღირიანიში“ ხაზგასმით მიუთითებდა: „ყველა დღემდე არსებული შორალური თეორია საბოლოო ინსტანციაში საზოგადოების სათანადო ეკონომიური მდგომარეობის ნაყოფს წარმოადგენს და რადგან საზოგადოება დღემდე კლასობრივ დაპირისპირებებით ვითარდება, შორალიც ყოველთვის კლასობრივ შორალი იყო“². ეს უსიტე ფორმულა მარქსისტული დიალექტიკის ერთ-ერთი აღიარებული კემშირატებაა, რასაც ხელოვნურად არათულება და მისტატური ბურჟუასი მისხვად თავის დროზე შეგვიდა. იგი სამყაროს განვითარების კანონებს თვით ამ განვითარებაში კი არ ენებდა, არამედ სამყაროს



რუსთაველის ესთეტიკის

ზოგიერთი საკითხი

როსტომ ბუქანიშვილი

ყურებდა თავისი ლოგიკური სისტემიდან, მაგრამ ვინაიდან ყოველი ლოგიკური სისტემა თვით არის აზროვნების განვითარების განსაზღვრული საფეხურის პროდუქტი, ამიტომ ენგელსმა ეს ურთიერთობა „გადააბარუნა“ და დიალექტიკურ ფილოსოფიაში უადრესი საიდუმლოებით მოცული კანონები უშრალოდ და ნათლად კანონებად იქცა. ენგელსს მიაჩნდა, რომ ერთ-ერთი განსაზღვრული სიტუაციის ესთეტიკის პროზიციის გარკვევაშიც, დიალექტიკის კანონი

ფაქტში, მოვლენაში უნდა იქნას მოცხნილი, აღმოჩენილი და გახსნილი და არა გარედან შევეტანოთ ისინი, როგორც აზროვნების კანონები, ამიტომ ხელოვნებისა და ლიტერატურის შექმნებში სიღრმეს რაც მხატვრული სახეების შინაარსია, ობიექტური სინამდვილე თავისი განვითარების ლოგიკით წარმოავსებს. რუსთაველის პირველადი სტრუქტურის ესთეტიკის პროზიციის განსაზღვრა კი, გარკვეული ბაზისის ზედნაშენია, გან-

¹ ფრ. ენგელსი, ლდევად ფეიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, 1940, გვ. 35.

² ფრ. ენგელსი, ანტი-დღირიანი, 1952, გვ. 112.



საზღვრული ფილოსოფიური მიმდინარეობის „სახე“ და პროდუქტია. „ზიარობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგი“ — ამბობს რუსთაველი და პოეზიას, ხელოვნებას მიიჩნევს ფილოსოფიის „ერთ დარგად“. რუსთაველის ესთეტიკის ამოსავალი წერტილი თვით პოეტის მითითებით, განსაზღვრულ ფილოსოფიურ სისტემაში უნდა ვეძიოთ, რადგან იგი „სიბრძნის ერთი დარგია“, ამ „სიბრძნეს“ ანუ ფილოსოფიას უსათუოდ ჰქონდა საერთო ხაზები პოეზიასა და ხელოვნებასთან, ამასთანავე ჰქონდა ფრიალ განსხვავებული ნიშნები, ჰქონდა სპეციფიკა. ფილოსოფიისა და ხელოვნების, როგორც საერ-

თო, ისე განმასხვავებელ ნიშნებზე, ჭერ კიდევ ძველი სამყაროს ჰეგელი — არისტოტელულ შენიშვნადა: „ისტორიკოსი და პოეტი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა იმით, რომ ერთი იუენებს ზომებს და მეორე არა; შევევლოთ ჰეროდოტეს თხზულებანი ლექსად გაგვეწყო, მაგრამ ამის მიუხედავად ის მაინც ისტორია იქნებოდა, როგორც მეტრით, ისე მეტრის გარეშე; მაგრამ ისინი იმით განსხვავდებიან, რომ პირველი ლაპარაკობს სინამდვილეში მომხდარზე, მეორე კი იმაზე, რაც შეიძლება მომხდარიყო. ამიტომ პოეზია უფრო ფილოსოფიური და სერიოზულია, ვიდრე ისტორია; პოეზია ლაპა-

რაკობს უფრო ზოგადზე, ისტორია კი „ეროვნულზე“³. რუსთაველს თუ არისტოტელეს შემდეგ მივიჩნევთ შუა რგოლად, მაშინ პოეზიის ჰეგელისტული განსაზღვრა სამი დიდი მოაზროვნის საერთო პოზიციადა იქცევა. ჰეგელი თავის „ესთეტიკაში“ წერდა: „პოეზიის საგანი არ არის არც მზე, არც მთები, არც ტყე, არც პეიზაჟი, ასევე გამოირცხლება ადამიანის გარეგნული სახე, სისხლი, ნერვები, კუნთები და ა. შ. პოეზიის საგნად შე-

³ არისტოტელე, პოეტიკა, 1957, გვ. 67—68 (რუსული გამოცემა).



შალვა გვაზდარავი
„მწიკთა“
მთაწარი
გულამოსკენილი,
მტირალი,
(1966).

უნა ჯაფარიძე

„ღიღინას ვღეგ და არა მითხრა
სიტყვა მისსა შინასურსა...“
(1966).



იძლება იყოს მხოლოდ ის, რაც სულიერ ინტერესს იწვევს“⁴. რუსთაველის თეორიით, პოეზიას უდიდესი სარეზონანსო მთქვანად ამოაწმინდავის, რადგან იგი სულიერად გამაფრთხილებელი და გამაყვითლოშობლებელია. მაგრამ პოეტი და მოაზროვნე, ამ მიზნის მიაღწევად ორ პირობას აყენებს: 1. სუბიექტი, რომელიც ხელოვნების ქმნილებას აღიქვამს, თავისი სუ-

⁴ ჰეველი, ტ. მე-14, 1958, გვ. 168 (რუსული გამოცემა).

ლიერი წყობით სათანადოდ შემზადებული უნდა იყოს ასეთი აქტისათვის — „კვლა აქაცა იაშენის, ვინცა ისმუნს კაცი ვარგი“ და 2. დაკონიჭებული, ფრანსის ლამაძეობა კარგი პოეზიის არა მარტო გარეგნული მხარია არამედ შინაგან აუცილებლობაზე დამყარებული თვისებაც — „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“. იქვე, პოეზიის, პოეტური ნების გარკვეულ მეტრს რომ მისცეს უპირატესობა, რუსთაველი დასძინს: „შაირია ამაღ კარგი“. უკანასკნელი სტრიქონის ორივე ნახევარი, რიტმისა და შინაგანი ლოგიკის წყა-

ლობით მკითხველის მიერ ერთ დებულებად აღიქმება და პოეტის მიზანად მიღწეულია: თუ გსურთ სიამოვნება მიანიჭეთ სულიერად და ინტელექტუალურად შემზადებულ მკითხველს და ამასთანავე სარგებლობაც მოუტანოთ, შაირით უნდა სწეროთ, რაც ყველაზე კარგი საშუალებაა გრძელი სიტყვის მოკლედ თქმისა.

წესტი შედარებით — „ეთოა ცხენსა შარა გრძელი“ და „მოზურთალსა მოციანი“ რუსთაველი მკითხველს განაწყობს შემდეგი დებულებისათვის, რაც მის ლიტერატურულ-

თორიული შეხედულებისა და ესთეტიკური კრელოს ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს დებულება გახლავთ: „დღესთა გრძელთა თქმა და ზევა“ — სადაც მრავალმოიანი პოემები და რომანები კი არ იგულისხმება, არამედ ეპიური ნაწარმოების პიორიტეტ-ზეა მითითებული, ე. ი. ემოსის უპირატესობაზეა საუბარი ლირიკასთან შედარებით. ამ საკითხს რუსთაველი რამდენჯერმე უბრუნდება:

„რა ვეღარ მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს
დუქსმან შვირობა,
არ შემოაქოს ქართული, არა ქმნას
სიტყვა-მკერობა“.
„დიდსა ვერ მოსკვლენ, ხელდა აქვს
ზოცა ნადირა მერეთა“
„მომოიერ არა მქვია, ვინცა ბატვის
ვიცა გრძელდა“.

ემოსის უპირატესობას ლირიკასთან შედარებით, რუსთაველი მხოლოდ ფორმის საკითხად არ მიიჩნევს, აქ მხოლოდ დღეი და სატარა ნაწარმოები კი არ არის დახიროსპირებული, არამედ პოეტურ ნაწარმოებში მოქმედ პერსონაჟების ესთეტიკურ ფუნქციებზე არის საუბარი. „გრძელდა“ თქმა სიუჟეტის როლს აძლიერებს, მაგრამ არა მხატვრული ხასიათების სწორხაზოვნების ხარჭე. დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვინმართ, რუსთაველი ზემოთმოყვანილ დებულებაში, ერთის მხრივ იდეალურ და უაპოფიტი პერსონაჟებს და მეორეს მხრივ მხატვრული ხასიათის უფლებმზიერ გამოჩვენებს, შესწავლას და დახატვას უპიროსპირებს ერთმანეთს. „გრძელდა“ თქმული რუსთაველისათვის მხატვრული ხასიათების განვითარების შინაგან ლოგიკაზე დამყარებული ნაწარმოებია და არა უდემოკრეცილი, მზამზარეული სქემები ხასიათების ნაცვალად. რუსთაველის გენიალური განკვერტა მშოწლის შემდეგ გერმანული აკადემიური ლაქონაზით დადასტურა ლესინგმა: „თუ პოეტმა, მისდა საუბედუროდ, იდეალურ ხასიათს შინაგან მოაგარი ჩოლი, მაშინ უარყოფითი ხასიათი, რომელიც უფრო ენერგულად მდებარდება მოქმედებაში, უფლებების დეფარც მას“⁶. დაუწყოს დუქსმან შვირობა“⁷. „მქმნას სიტყვა-მკერობა“⁸, „გერას იტყვის ვინცა გრძელდა“ — ეს არის სწორედ იდეალური ხასიათი, რომელიც თავიდან ბოლომდე ერთხარია, არ იცვლება, არ იზრდება, არ გარდაქმნება დიდი აგებების შედეგად. ასეთი ნაწარმოების ვეტიორითულ მდგომარეობაშია, მას ლოკი გამოედვა დაუფერდება, სიტყვა შეიკვეცება და მხატვრული ხასიათის უფლებმზიერ გამოჩვენების მაგიერ ამ ხასიათის სქემატურ სურათის შემგვთავაზებს, „გრძელდა“ ვეღარ იტყვის.

რუმეტიკური სინამდვილის გადამწევი მოქმედების მხატვრული ხასიათის აგების დროს, რაც პირდაპირ მითითებულია რუსთაველის პოემაში, თორიული სასრული გამოჭობება იმევე დღესინება, როცა იგი ნაწილობრივ ადგა ფილოსოფიური მატერიალობის პოზიტივზე, საყარეს და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შეცნობისას ობიექტური სინამდვილე მიიჩინა არ ამოსავლ უწარდ. დღესინე ერთი მხრივ თუ ამბობს, რომ გამომხატველობისა და სინამდვილის წყალობით ბუნებაში უფრო სხადველი არა ბუნებრივებაში იტყვევებოტირება“⁹, მეორე მხრივ, პოეტის სტილიურის გაქვეყნის, მოქმედების უფლებზე წინაშეობლივ თვისებად მიიჩნევს: „პოეზი-



ეტორტან უც ლომი მოკლულა

მისხაი ზირი —

ის საგანს მოქმედება შეადგენს“⁷. ლესინგი უფრო აზუსტებს ამ აზრს, როცა მოძრობის პირობად უდებს ფიციული მხატვრული ხასეს: „ცოცხლად დახატული სურათის გარეშე აზრის გადმოცემით, ყველაზე სანატრესო პოეტიც იტყვეა მოსაყვენე ყხედალ“⁸. ლესინგს მიაჩნდა, რომ თვის საინტერესო პოეტად კი, რომელიც იცის მხატვრული ხასებისა და ხასიათების აგების საიდუმლობა, ვერ ასცდება „მოსაყვენიე შეხედლ“ ხედვრს, თუ იდეალურა უფლობელი კანონი — მხატვრული ხასიათი — ცოცხლად დახატული სურათი უნდა იყოს. სიცოცხლედ მოქმედება, მოძრობა და განვითარება უფუნგს მიაჩნდა მხატვრული ხასიათის ლელოლუ კომპონენტებად, რომელთა შედიანობა და ანსამბლურობა მქმნიდა ერთის მხრივ მონოლოთურობას და მეორეს მხრივ დრამატის. ყველივე ამას რუსთაველის ერთ სტრიქონში ამბობს: „არ ძალეუ სრულქმნა სიტყვათა დულობა გასაგებრეთა“⁹. რუსთაველი ამ დებულებაში სამი მომენტია საველისხმო: პირველი — ამ ძალეუ, ე. ი. გარკვეული ქალუერ შემოქმედ არ შეუძლიათ, ძალა არ ჰყოფინოთ დიდ პოეზიასთან შერკინების

დროს, მეორე — ამ ტიპის პოეტნი სულ უმეციონი არ არიან, რუსთაველი ხაზს უსვამს „სრულქმნა“¹⁰ და არა უმეციონობას. მამასადამე, რაც სთოულმწიბო მადლმხატვრული სურათების გამოძრწევა ამ შეუძლიათ, და მისებრ — პოეტის მიერ დახატულმა სურათებმა მეთოდების გამოძრწევა ამ შეუძლიათ, და გონება უნდა შეესძლოს, უნდა ჩაიფიკონ, შეამჩრუნონ, აიღლონ, რაღაც გადამწეობებამდე მიიყვანონ, რაც ხატოვნად უფლის გამგირვის“ უნდა შეადგინს. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ პირდაპირი გაგებობა „უფლის გაგეჭლით, ასევე შეიღ-ისრით და შუბით მოხედობდა. თვით მხატვრული სცენაშიც სანატრესობა არა სომარო იარღი. არამედ ამ იარღის ხმარების წესი, სხვანარად რომ უკვათი, მისი გარგებობა, გრაციოზული მხარე, მისი გრაციოზული ნახატ. შუბით გაგმირვა ამ შეიღ-ისრიდან ვასრლოდ ხელის და ფეხის კუნთების, კისრის და თავლის გარევეულ როლუ მოძრობებს მითოსოდ, რაც მითოსაში მქმნიდა დანამორ სურათს, ხასიათი შექმნდა ექსპრესია, მამასადამე, მოქმედებას. მოძრობას რუსთაველი მიიჩნევს ძირითად ელემენტად მხატვ-

⁶ ლესინგი, ლაოკონი, 1957, გვ. 138 (რუსული გამოცემა).
⁷ იქვე, გვ. 90.
⁸ იქვე, გვ. 187.

⁹ იქვე, გვ. 215.



მგდენ ბრძანა: „გამახალ ნახულო მე უნახველად“.



„მკერიდ მკერდა შეეწება, გარდაულო ეყო ეელა“.

ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისათვის“ (1888)

რული ხასიათის განვითარებაში, რაც თვით თვითრული დებულების ჩამოყალიბების დროსაც ფიგურალურ ზერხად არის მოშეღებულ. თუ ეს ასეა, მაშინ რუსთაველის დებულება კვლავ საინტერესო ინტერპრეტაციას განიცდის ლისინგის შემდგებ შერჩევანაში: „ჩვენ საერთოდ ადვილად გვაგონდება მოძრაობა, ვიდრე ფორმები და სახელებები. ამიტომ ვსაკვებია, რომ ვრაციოზული ჩვენზე უნდა მოქმედებდეს უფრო ძლიერ, ვიდრე ურაციო სიღმარაზე“⁹. ლესინგი მოუთხოვს ავტორს: „უფრო უნდა მოქმედებდეს, რითაც არ გამოირცხვას სტატიური სიღამაზის გარკვეულ ესთეტიკურ ზომებში და აქვს განაღობილი“⁹. ეს კლასიციზმის განაღობა, თავისი თვითრული აწვლახე უკეთეს სახეობად იმითომ არ აიღო ლესინგმა, რომ ლაოკონი მოძრაობას, დინამიკას, მოქმედებას, ვაიხატებს, მიუღიდავია იმისა რომ იგი მარმარალოში არის გარკვეული? მაგრამ განა სასიკვდილად დაეკვილი მამაკაცი თვითრული კუთხი, ტკივილისაგან დაბრუნებული მუცელი და მკერი, იღვანე ვაიხატობ ტურნეზე თავშეკავებულ მუხატაზე? — განა არ მოძრაობს, არ ვითარდება? ლაოკონის ძალა სწორად ამ მოძრაობისა და დინამიზმისა, ეს არის სურათი

„გულისა გახამირება“⁹, რადგან ჩვენ დაგვიკლი მამისა და შვილების გვამებს კი არ ვუყურებთ, არამედ თვით სიკვდილის პროცესს, ტანჯვის, მწუხარებისა და რანდელი შერკინების პროცესს. მამასადავ, ლაოკონი ძლიერია იმით, რომ მოქმედება ჩვენს თვალწინ ხდება. ჩვენ მონაწილე ვართ ამ ძლიერი და მამაცი აღამიანების ტრაგიკული ბრძოლისა და არა მხოლოდ შედეგის, ფინალის გულმკერდ მყურებელი. ლაოკონის მნახველს არ შეუძლია ინდიფერენტული დარჩენ სწორად ამ დინამიზმის გამო. რა თქმა უნდა, იმეტი და მხატვრული ზომქმედების ძალა ვაცილებით ნაკლები იქნებოდა, ჩვენ რომ არ ვმონაწილეობდით ამ ბრძოლაში, არამედ მხოლოდ ვუყურებდით და აღვიქვამდით უკვე დაბოცილ მსხვერპლს, ეს ამდგედა უფლებას ლესინგს, რომ რუსთაველის მსგავსად მოძრაობა და მოქმედება მხატვრული ხასიათის გახსნისა, ყველაზე ნივანად პირობად მივიჩნა, ყველაზე ძირითად ნივანად, რაც ობიექტურად დიალექტიკის განვითარებით იყო განპირობებული. ამ კონონის შეცნობა და აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ დინამიზმს და განვითარებას არ ქვიანდეს თავისი საზღვრები, თავისი ჩარჩოები. გადაჭარბებული პაოსით გამოვლანებული

დინამიზმი საფრთხეს უქმნის მხატვრულ ხასიათს, ვინაიდან მას თავისი ლოგიკა გააჩნია და იგი არ უნდა იქნეს დარღვეული. ეს ისეთივე საფრთხეა, როგორც სტატიკურობა, რომელიც ერთი უაღიურესობიდან მეორეში გადასვლის ნიშნავს. ამიტომ ლესინგი ვაფრთხილებდა: „ეს არის პაოსი — უადგილო და ზედმეტი იქ, სადაც არ უნდა იყოს პაოსი, ან უზომო იქ, სადაც უნდა იყოს ზომიერება“¹⁰.

ეოსის ფორმა და ეპიკური მხატვრული ხასიათის მიმართება როგორც ცხოვრებისეულ სიტუაციებთან, ისე განვითარების სხეულს განმარტებით, ეოსისთვის ბედი გარედან მისდის და „გარედან“ მოსული ბედი, ე. ი. ბედი, რომელიც საზოგადოებრივ ძალებთან ურთიერთობაში გამოიქვდა, ამ მხატვრული ხასიათის მოქმედებას ინდივიდუალურ ფორმას აძლევს. ამ მხრივ სანიშნუშა ავთანდლის ხასიათი, რომლისთვისაც ბედი სწორად „გარედან“ მოვიდა.

ავთანდლის სულიერ სიმშვიდეს არაფერი არ არღვევდა იქამდე, სანამ ნაღობის დროს არ წაუქვდნენ უცხო მოყვარებას. ტარცილის გამოჩენა იქცა იმ „გარე-

⁹ ლესინგი, ლაოკონი, გვ. 245.

¹⁰ ლესინგი, ლაოკონი, გვ. 313.



დან" მოსულ ეღებენად, რომელმაც უნდა მომართოს და ამუშაოს პოემის შიგელი სიუჟეტი. გარედან მოსული ბედის შემწეობით, თინათინი დაავალდებულდა თავის მიჯნურის შეიტყვის უცხო მოუხის ამბავი და ავთანდილიც, ეს თავისი სატროს რაინდი შორილად დებულობს ამ დავალებას. პოემის ასეთი ექსტრემული დასაწესი განაპირობებს იმ დინამიზმს, რითაც რუსთაველის თვითუბო სტრაიდი სუნთქავს. ქართული რენესანსის პირველმა გარსკვლავემ ჩინებულად იცოდა ხელოვნების მთავარი კანონი — ისეთი დიდ ეპიურ თბუღლებამ, როგორც მისი პოემა — სიუჟეტის მამოძრავებელ ძარდად ვერ იქცეოდა თვით გატილი მღელვარე თავდასავალიც კი, მკითხველს უზარალოდ რომ მოუთხრობდეს სწორადუა-

რი მეღვინეც. პოეტმა იცოდა, სტატკური სიუჟეტი რაოდენ საინტერესო და ამაღლებელიც არ უნდა იყოს, ვერ იქცევა პოემის ბერკეტად, რადგან იგი მთელ დაღვს მკითხველს და მოაწვევს. მან მთელი ექვსი საუკუნით ადრე იცოდა ლესინგის ჯევის მიერ უკვე შეყვანილი დებულება, რომ „მოქმედების გარეშე, თვით უველამ საინტერესო მოტივს იქცევა მოსაწყენ უბედამ“. და რომ ეს ახე არ მოხდეს, რუსთაველმა ავთანდილსათვის გარედან შემოიყვანა ბედი, პოემის ერთ-ერთი ცენტრალური გმირთაგანი უღერესად დააინტერესა, გაამაგვილა ჯერ მისი ცნობისმოყვარეობა, მერე მოვალეობა და რაინდილი დივი, დემხარის მოყვარის სატროს მოვანა და დასნაწი. გარედან მოსილმა ბედმა, მხატვრული ხსიათების ში-

ნაგანა დრამატოზმით დამუხტულმა შექმნა ისეთი დინამიზმი, რომ სიბრძნით დახუნძლული პოემა უღარგისი სილალი და სიმსუბუქით იკითხება. მკითხველს ატკბობს ლევის მუსიკალური რიტმი, იტაცებს გმირთა თავდასავლის გაცნობა. აუკრობს სიუჟეტის მთავარი არხი და მოუთმენლად მოედის ფინალს, კეთილსაგან დაძლეულ ზორტს. უოველივე ამას კი წარმართეს მოქმედება, საყვამო და მოვლენთა ურიოტირკაუზირი და ურიოტირთაპირიობება, რაც ლოგიკურად ქმნის დამთავრებულ ნახატს და რაც განვითარების დიალექტიკურ კანონებზე დაშვარებული, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებში მოქმედებენ სამყაროს განვითარების ობიექტური კანონების შესაბამისად და მათი მოქმედების განვითარება თვით არის გარკვეული

თამარ აბაქელია
„შიგან ასრე გავერიევი,
გნოლის ჭოგსა ვითა ქორი,
კვიე კაცსა შემოვსტყორცე,
ცხენ-კაცისა დავღვი გორი“.

(1936).



წინააღმდეგობების ბრძოლა. ავთანდილი მრავალ წინააღმდეგობას გადალახავს, სანამ ტარიელს შეხვდება. ტარიელი და ავთანდილი ბევრ დაბრკოლებას დასძლევენ ურდოლიან შესახედრად. მათა მეგობრობა და საბრძოლო ერთიანობა კულშინაცის აღწევს, როცა ისინი ქაქეთის ციხის აღების ვეცემებს ისახავენ. მათი ხასიათების განვითარების ლოკური შედეგია, რომ აურაცხელ წინააღმდეგობათა გადალახვის შემდეგ მიღებულ იქნა კარდინალური გადაწყვეტილება, რაც ამ წინააღმდეგობათა გადალახვის დალაქტურის სინთეზია. ქაქეთის ციხის აღების მომენტში თავს იყრის სამი რაინდის შიშლი ინტელექტუალური და ემოციური დამახულობა, თავს იყრის ყველა ძაფი, რომელიც ერთი წვეთით ცალკეულ ეპიზოდებ-

თან არის დაკავშირებული და მეორე წვერით კი, ამ ძირითადი, ცენტრალური ეპიზოდისაკენ მოემართება. ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ხასიათების დალაქტუკა, ასეთია ეპოსის სპეციფიკა დრამატულ ხასიათებთან შედარებით. ეპოსის პარიორტი იმას არ ნიშნავს, თითქოს რუსთაველი სხვა ეპოსის ნაწარმოებებს ამცირებდეს, მათ მნიშვნელობას სჩამალავდეს და დაუმსახურებლად ჩრდილს აყენებდეს. რუსთაველის ესთეტიკის სრულყოფილობა და პრობლემატურობა იმართა, რომ იგი სხვა ეპოსებსაც აძლევს შეფასების და მიუჩენს გარკვეულ ადგილს სამყაროს მხატვრულ ათვისებაში. კარგი მოშაირე, ე. ი. შემოქმედი ის არის, ვისაც მრავალი თხზულება გააჩნია. ამას მო-

ღემიკური წესით გაღმოვცემს რუსთაველი: „მოშაირე არა ჰქვიან, თუ საღმე თქვას ერთი, ორი, თავი ვეღლა ნუ ზგონია მელექსეთა კარგთა სწორა“. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ტიპის პოეტებში მრავალდ ეყოფიან ქართული რენესანსის დროს და თავიანთი ულიმღამო ნაწარმოებების „დაცვაში“ ერთგვარი იმუნტეტები ჰქონიათ გამოუმუშავებული. რუსთაველმა შესანიშნავად იცის ეს და სხენებულ პოეტებს „დამსახურებული“ ეპითეტებით ამკობს: „განალა თქვას ერთი, ორი, უსხვავსო და შორი-შორი, მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჭორი“.

პირველი ოპერა

„ვეფხისტყაოსნის“ ვიხვლით

გივი ორჯონიკიძე



ბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე 1946 წლის 21 თებერვალს დაიდგა შალვა შველიძის ოპერა „ამაზი ტარიელისა“. ეს თარიღი რუსთაველიანას დასაბამს აღნიშნავს ქართული მუსიკალური თეატრის ისტორიაში.

აღრე, რუსთაველის ლექსი არაერთგზის აუმეტყველებიათ ხალხური სიმღერის მოქმედებს. „დაისის“ ერთერთი თვალ-

წარმტაცი ეპიზოდია „სჯობის სიცოცხლესა ნაძრახსა“, რომელშიც ხალხის გმირული სულისკვეთება გამოხატული. ზაქარია ფალიაშვილმა ამ შესანიშნავ აფორიზმს მოუნახა სხარტი, ნებისყოფით აღსავსე ინტონაცია, გააძლიერა მისი ემოციური ზემოქმედების ძალა.

რუსთაველის იდუმალი პიროვნება, მისი ცხოვრების რომანტიკული ლეგენდა აღბეჭდა თავის ოპერაში დიმიტრი არაყიშვილმა. პოეტის პიროვნებისადმი მიძღვნილია ოთარ თავაქიშვილის ორატორიაც „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელიც თავისებურ აღსარებას წარმოადგენს.

ცხადია ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებასთან ერთად შოთას მხატვრული სახეებისადმი კომპოზიტორთა ინტერესი იზრდება და ღრმადდება, პოემის მიხედვით იქმნება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები (კერძოდ, ინტერესს იწვევს ა. მაჭავარიანის ბალეტი, რომელიც კომპოზიტორს საბჭოთა კავშირის დიდმა თეატრმა დაუკვეთა, ა. ჩიმაკაძის ლიტერატურული მუსიკალური კომპოზიცია „ვეფხისტყაოსანი“, რომლის შთამბეჭდავ ფრაგმენტს — „პროლოგს“ ჩვენი მსმენელი უკვე იცნობს.

ისიც შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ რუსთაველი მომავალში ქართული მუსიკისათვის შთაგონების ისეთი-

— ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისათვის“ (1936)



ვე წყარო იქნება, როგორც ვთქვამ. თუ ეს ჯერჯერობით იმ მას-
შტაბით არ ხდება, როგორც უკვედ პიემას შეგფერის, ამის
მიზნუ „ვეფხისტყაოსნის“ განსაკუთრებულ სიტუტულეს, ფი-
ლოსოფიურ სიღრმესა და უნივერსალობას უნდა მივაწე-
როთ.

შალვა შვეველიძის ოპერა „მუსიკალური რუსთაველიანის“
გზის სათავეში ძვეს. „ამბავი ტარიელისა“ ჭეშმარიტად შე-
მოქმედებით აღმაფრენის ნაყოფია და დღეს მის არა მარტო
ისტორიული, არამედ დამოუკიდებელი მსატერული მნიშვნე-
ლობა აქვს. თეატრის გადაწყვეტილება — მაურველს კვლავ
ურვერის შვეველიძის ოპერა იუბილუს დღეებში — სწორია და
უდავოდ გააღვივებს სასოგადოების ინტერესს შვეველიძის
ნაწარმოებისადმი. ეს ოპერა იმსახურებს ყურადღებას, რო-
გორც „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკალური ინტერპრეტაციის
ძალეუ თავისებურებას. შვეველიძის ნაწარმოების მრავალი
მხარე დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი მსატე-
რული ღირსებით. მაგრამ ნაწარმოებს ნაკლებინებანიც
აქვს, რომელიც წინ ეღობება მის სცენურ არსებობას. კრიტი-
კოსის მოვალეობა პირუთენელად მიუთითოს ხარვეზებზე და
უსწატად განსაზღვროს ის დადებითი მხარეებიც, რომლებიც
შალვა შვეველიძის „ამბავი ტარიელისა“ საფუძვლიანად გა-
მოარჩევს 30-იანი, 40-იანი წლების საოპერო შემოქმედების
ფონზე, განსაზღვრავს მის მნიშვნელობას მუსიკალურ რუსთა-
ველიანში.

თვით ოპერის სახელწოდებას მივციითებს, რომ კომპო-
ზიტორმა და მისმა ლიბრეტისტმა ა. ფაღავამ თავისი ამოცა-
ნა ძირითადად „ტარიელის ამბავი“ შემოფარდეს. ოპერის
4 მოქმედებიდან 3 მართლაც მთავარი გმირის და მისი მიჯ-
ნურის ნესტანის ისტორიასთან არის დაკავშირებული. მაგრამ
მათ გარდა ოპერაში აიხსნა ავთანდილისა და თინათინის სა-
ხეობაც, განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საზეიმო სცენების
ფარსადანის სატახტო ქალაქში (I აქტი) და რომანტიკოსის სა-
სახლემი (II აქტი). რაც შეეხება მთელ სიუჟეტურ ხაზს, და-
კავშირებულს ავთანდილის მეორე მოგზაურობასთან, ფატმანის
შერმადინის კოლორიტულ ფიგურებს, ნესტანის თავდადასა-
ვალს ჭაჭუთის ციხეში მოხვედრამდე, ფრიდონის პიროვნებას
(ეს უკანასკნელი მხოლოდ ჭაჭუთის ციხის აღების წინ გა-
მართულ თათბირში მონაწილეობს) — ყველაფერი ეს ოპე-
რის ფარგლებში მიღმა აღმოჩნდა. ასეთ მსხვერპლს კი საო-
პერო ჟანრის სპეციფიკა მოითხოვდა.

ა. ფაღავას ლიბრეტოს უდავოდ დადებითი მხარეა რუსთა-
ველისეული ლექსისადმი მორალურული დამოკიდებულება.
ცნობილია, რომ საოპერო ნაწარმოებში, წესისამებრ, პოეტუ-
რი ტექსტები ხშირად რადიკალურად იცვლება და ტრადი-
ციული საოპერო ესთეტიკა ამ ფაქტში არაფერს დასაძრახის
არ ხედავს. შვეველიძის ოპერის ანალიზი გვარჩევს, რომ
მთელი პოეტური მასალა, მისი რიტმიკა, ფრაზების აღნაგო-
ბა, ავტორებმა უცვლელად დასტოვეს და არსებითად მხოლოდ
მისი გარდაუვლი შეკვეთით დაგმაცოფილდნენ.

რუსთაველის ლექსის ფსიქოლოგიური სიღრმის გახსნა,
აფორიზმების კონცენტრირებული შეწარჩუნება — ასეთი რთუ-
ლი ამოცანები წამოიჭრა კომპოზიტორის წინაშე. ამ ამო-
ცანების გადაწყვეტამ (ხშირად ნაწილობრივმა, საკამათომ)

ქართულ მუსიკას მრავალი სანტერესო მუსიკალურ გამოჭე-
რი სახე შესძინა, ჭეშმარიტად ეროვნული იერი, კეთილშო-
ბილებითა და ორიგინალობით აღბეჭდილი. მშველძემ
„ვეფხისტყაოსანი“ ძალეუ თავისებურად წაიკითხა და
თავისებურადც აამტეკველა. მისი მუსიკალური სახეები
რუსთაველიანის შთაბეჭდილებით და ამავე დროს აღბეჭდილია
კომპოზიტორის ინდივიდუალობით.

სიტყვიერ-ლექსიკურ მხარესთან ერთად ოპერაში არანა-
ლებ რიოს თამაშის ლიბრეტოს დრამატურული მხარე
უნდა ითქვას, რომ თუმცა ოპერის დრამატურგია ძირითადად
ინარჩუნებს პოემასთან სიახლოვეს, არ ამხიანჯებს მას და
არსებითად ასახავს მოვლენებსა და ხასიათებს, მაინც დიდ
დაკვამყოფილებლობას იწვევს, რადგანაც მასში უგულვე-
ბელიყოფილია საოპერო ხელოვნების აუცილებელი პრინცი-
პები.

ასე, მაგალითად, პირველი ორი აქტი თავისი შინაარსით
დემოკრატიული პოპეზურობით, საზეიმო-სადღესასწაულო
მომენტების გადატეხებით თავისებური ორმაგი ექსპოზი-
ციის შთაბეჭდილებას სტოვებს და ამასთან გაჭიანურებუ-
ლიცაა. ამას დუმატეტ მეტწილად განვითარების მდორე
პულსი, თხრობის კილო, გუნდების სიჭარბე და გასაკვირი გახ-
დება, რომ ყველა ეს თვისება აშკარად ენებს ფორმის მთლიან-
ნობას, აღუნებს დრამატულ სიციხეველს.

პირველი ორისაგან განსხვავებით, მესამე მოქმედებაში
მკვერი გარდატეხა ხდება. საუნდო დრამატურგია ადგილს
უთმობს არიოზულ ფორმებს.

სამუშახროდ ფორმა აქაც ცალმხრივია. არიების მომეტე-
ბული ნაწილი მწუხარე ელემენტური განწყობილებისაა, მაღა-
ბი მუსიკალური ღირებულების მიუხედავად სტატორ და
ერთფერვან შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს მითუმეტეს დასა-
ნანია, რომ აქ თავმოყრილია ოპერის საუკეთესო ეპიზოდები
— ავთანდილის, ასმათის და ტარიელის არიები. მათი
ზემოქმედების ძალა გაცილებით ძლიერი იქნებოდა, რომ
თვითეული მათგანი კონტრასტული დრამატურგიის საკვანძო
მომენტში წამოჭრილიყო და არა ერთიმეორის მიყოლებით.

მეოთხე აქტში თითქოს წინა მოქმედებების ცალმხრივობა
დაძლეულია. ეპიურისა და ლირიკულ-რომანტიკული საწყისე-
ბის ორგანული კავშირია განხორციელებული. საოპერო
ფორმის მხრივ ეს აქტი სამკამოდ მრავალფეროვანია: აქ გა-
მოყენებულია არიები, გუნდები, ინსტრუმენტული სურათები,
ბატალურ-ფერწერითი ეპიზოდი, ანსამბლები და დილოკური
სცენები. მაგრამ ცალკეული ეპიზოდები უფრო მონაცვლეო-
ბენ, ვიდრე ერთიმეორისაგან გამოიშინაობენ, ისინი ერთ-
მანეთს უფრო სიუჟეტურად უკავშირდებიან, ვიდრე მუსიკა-
ლურად.

ფორმის გაჭიანურება, მრავალსიტყვაობა, თხრობითი
ეპიზოდების სიჭარბე და უშუალო დრამატული მოქმედების
ნაკლებობა — ასეთია ლიბრეტოს ძირითადი ნაკლოვანი მხა-
რეები, რომლებსაგანაც, სამუშახროდ, არც მუსიკაა თავი-
სუფალო.

ოპერის პირველი აქტი მიძღვნილია ფარსადან მეფის
გარეუ მომხდარი ამბებისადმი, რომლებიც ნესტანის უცხო-
ეთში გადაკარგვით დამთავრდა. მხოლოდ მეორე აქტის ბო-

ლის ვებურდებით ნესტანისა და ტარიელის თავგადასავალს, როცა როსტევის ხალხი წააწყდებოდა უცხო მომეს. შესანიშნავი გუნდი კარგად გადმოვიცემს მონადირეთა გაცივებას, ალღევებას, ტარიელის პიროვნების იდემალებას. მაგრამ რაოდენ მოიგებდა დრამატურება, რომ მსმენელი-სათვისაც უცნობი ყოფილიყო განმარტებელი ჭაბუკი და რომ შემდგომში მისი მონახობები მოქმედებდა განსნილიყო¹. ოპერის ასეთი გადაწყვეტა შესაბავსა თვარის ახალ-გაზრდა რეჟისორმა გურამ მელიამ. ეს დადგმა ახლო მომავალში განსოციელდება და ჩვენ მსმენელს საშუალება მიეცემა თვით განსაჯოს ახალი დრამატულ-სცენური კონცეპციის აკვარგანობა. ყოველ შემთხვევაში იგი უფრო შეესატყვისება „ფეხსტეკოსის“ კომპოზიციას და მოვლენათა განვითარების ლოკიას.

ა. ფლავიუს ლიბრეტო მრავალი ისეთი ეპიზოდითაა გადატვირთული, რომელთა ჩარევაც არაა აუცილებელი თუკი დრამატულ განვითარებაზე ვიზრუნებთ. მაგალითად პირველ აქტში ძალიან დიდ ადგილს იჭერს ხატიათუე ლაშქრობიდან დაბრუნებული ტარიელის რაზმის დახვედრის სცენა, ტარიელისა და ფარსადანის დიალოგი, ეპიზოდი—ფარსადანის გადაწყვეტილება ნესტანის გათხოვების შესახებ. მეორე აქტში გაუმართლებელია სოფრატისა და ავთანდილის დიალოგი, საზოგადოდ მთელი მუსიკა, რომელიც სოფრატის სახესთანაა დაკავშირებული.

მშველიძის ოპერის ლიბრეტო, უფრო ორატორიას მოუხდებდა, ვიდრე ოპერას: მასში გმირთა ხასიათები ძირითადად გახსნილია მათივე ნაამბობში. უშუალოდ სცენური მოქმედების ეპიზოდები მცირეა, ამასთან მუსიკოვც არ გამოირჩევა. ამ ლიბრეტოს თავისებურებით კიდევ ერთხელ გავაზრუნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე საოპერო ნაწარმოებში ლიტერატურული თანაჯატორის როლი. გაგრეცლებულია მცდარი შესხედულება, თითქოს მუსიკას ძალზე თვით სუსტი სცენარის გამარტლება; სინამდვილეში კი მუსიკალური დრამატურება არ ითმენს ფორმის პასუხობას, სცენური მოქმედების ინერტულობას. თვით ნაცნობი სიუჟეტური მასალა უნდა შეიცავდეს მოულოდნელ გადაწყვეტებს, კონტრასტებს, ისეთ ეფექტებს, რომლებიც გაამაზვილებენ კომპოზიტორის ფანტაზიას. თუ ლიბრეტოში თვარტურული გამოხატუებლობა არ შეიცვანობა, მასში მისი მსატრული დონე უდავოდ დაბალია. სამუშაოდ, მშველიძის ოპერის ლიბრეტო ამ ნაკლოვანებისაგან არაა დასუდეული, რამე დიდად გაართულა კომპოზიტორის მოცანა.

„ამაზე ტარიელის“ მონუმენტური დრამატულ-ეპიკური ოპერა. სახვითი ხელოვნების ქანრებთან ანალოგიით მას შვევილია ფრესკა ვუვლოდით. ოპერის ქანრული თავისებურებანი ძირითადად განპირობებულია საკუნდო ფორმების მასშტაბურობით, არიოზული ფორმების თხრობითი კილოთი.

მუსიკალური დრამატურება ორატორიული ხასიათისაა. სცენური უმეტესობა მოკლებულია დრამატულ ქმედობებს.

და გამოილი ეპიზოდების მონაცვლობაზეა აგებული, რომლებშიც განსაკუთრებულ ადგილს იჭერს თვითნარდმკვების ფიქრის, აღსარებისა და სათავგადასავლო ამბის თხრობის მომენტები, დამახასიათებელია, რომ 2—3 ეპიზოდის გარდა, გმირთა სახეები სწორედ ასეთი სახის არივშია გახსნილი. ეს ეპიზოდები დასრულებულია და გამოთშულია მოქმედებიდან, რაც კვლავაც უფრო ორატორიული ქანრის სპეციფიკაზე მივითვლით, ვიდრე საოპერო ხელოვნებაზე. ავეე უნდა ითქვას, რომ არივში მომეტებულად გადმოცემულია გმირთა განცდები და არა მათი ხასიათები. თანაც არიების უმეტესობის საერთო ტონუსია — მწუხარება, სევდა. თავის ქანრობრივი თავისებურებით ისინი უკავშირდებიან ეპიური პოეზიის ლირიკულ ქანრს — ლამენტოს. მათ ფსიქოლოგიური სიღრმე ახასიათებთ, მაგრამ აკლიათ დრამატული სიცხვეულე, ოპერულობა.

ოპერის „ამაზე ტარიელისა“ თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დრამატული კონტრასტი მოცემულია საგუნდო საწყისსა და, მეორეს მხრივ, სოლო ნომრებსა და დიალოგებს შორის. პირველში ეპიური საწყისის გადმოცემული, ხოლო მეორეში კი მომეტებულად ლირიკული. თვითულ ამ საწყისს განვითარების მთლიანი ხაზი, თავისებური ლოკიდა და სპეციფიკური გამომსახველობითი ხერხები ახასიათებთ.

კომპოზიტორის მძლავრი ნიჭი, მისი ოსტატობა და ორინალობა განსაკუთრებით გრანდიოზულ გუნდებში მვლავნდება. შლავა მშველიძე ფლობს ჭკუმარიტად ხალხური ხასიათების გამოხატვის საიდუმლოებს. მის გუნდებში ხალხური სიმღერის სუნთქვა ისმის, მათი ფესვები აქოსის ღრმა ფენებში იკარგება.

„ამაზე ტარიელისა“ გუნდები თავისი სადღესასწაულო ტონით, მულოდის თავისებურებებით, განვითარების ჭკუმარიტად სიმფონიური დინამიკით, დიდი შინაგანი ენერგიით, პოეტური ტონის ამაღლებულობისა და განზოგადოებულობის თვალსარისით უკავშირდებიან არა მარტო ხალხური შემოქმედების საუკეთესო ტრადიციებს, არამედ ფალაშვილის „ამესალმე და ეთერის“ შთამბეჭდავ ფრესკებსაც. მშველიძის ოპერის ერთერთი საინტერესო მხარეა, რომ მასში განსაზიერებულია ფორთაშვილისა და თანამედროვეობის უწყვეტი კავშირი, კარგად ჩანს ქართული მუსიკის ფუძემდებლის განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე საოპერო ხელოვნების განვითარებისათვის. მშველიძის ოპერის პირველი და მეორე აქტის სახეში გუნდებში, ნესტანის და ტარიელის დუეტში ოსტატურად გამოყენებულ „ჩაკრულის“ პირიყბში, განსაკუთრებით მკაფიოდ ვგრძნობთ კავშირს „ამესალმე და ეთერის“ მეორე აქტის დრამატურგიულ და ქანრობრივ თავისებურებებთან.

ოპერის მთელი კომპოზიკა, შესავლიდან ფინალურ აპოთეოზამდე გაუნდო ფორმებზეა დაფუძნებული. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს გუნდების სახეში ტონი, რაც ავითარებს ხალხური დიდების, ხობტის, სუფრული სიმღერების, ქართული ეპიკური პოეზიის ტრადიციებს. გუნდების ვაკუატური შემართება მთელ ნაწარმოებს მაჭორულ ჯღერა-

¹ ამაზე კერძოდ. ა. წულუკიძემ მითითა თავის გამოკვლევაში, „შლავა მშველიძე“, თბილისი, 1964.

დობას, გმირული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს სძენს.

საგუნდო დრამატურგია სახეების ფსიქოლოგიური სიღრმით, რეალიზმით და დიდებული სულისკვეთებითაა აღბეჭდილი. ოპერაში ხალხი ნაჩვენებია როგორც დიდი ძალა. იგი ზეიმობს და შვიგრძნობს სიცოცხლის სიღამაზე, ოპერის აპოთეოზში დღესასწაულობს ბოროტ საწყისზე გამარჯვებას. გუნდების ინტონაცია ხალხური შემოქმედების წიაღიდან მოდის, დაკავშირებულია ხალხური მუსიკის ძანრულ მრავალფეროვნებასთან.

ვაკაცურ-პეროიკული ხასიათითაა აღბეჭდილი ტარიელთან შეხვედრის გუნდი. ლაკონური შესავლის როლს ასრულებს ოთხი საყვირის ფანფარი, რომლებიც ოპერის დასაწყისშივე ამკვიდრებენ სადღესასწაულო განწყობილებას. ვალტორნებსა და საყვირებში ჟღერს დიდებული ლაშქრულის მელოდია. მცხუნვარე ფერები, მკვრივი აკორდული ფაქტურა, ლითონის ელვარება თემის ბრწყინვალე, კამუკა კოლორის განაპირობებენ. საწყისი მოტივიდან თითქოს ახალ-ახალი მელოდიური რტოები წამოიზრდება, ინტონაცია ფართო და მღერადი ხასიათისაა.

პირველი აქტის სადღესასწაულო საწყისი კულმინაციას აღწევს სუფრულში. მის ჩაღრმავებულ განწყობილებასა და ვაკაცურ ინტონაციაში, ამაღლებულ ხასიათსა და კეთილშობილებაში, ეპიურ მასშტაბსა და შინაგან დინამიკაში განზოგადებულია ხალხური სიმღერის საუკეთესო ტრადიციები. „შევსავთ წითელი“ — უშუალოდ გვაგრძნობინებს რუსთაველის პოემის ლექსის განწყობას და ემოციურ სიმახვილეს.

ეს გუნდი გამოირჩევა კომპაქტური ფორმით. მასალის აქტიური პოლიფონიური განვითარების გამო სამაწილიანი ფორმა შინაგანი დინამიკითაა აღსავსე.

ამრიგად, პირველი აქტის საგუნდო ეპიზოდები, სადღესასწაულო განწყობილებას გადმოგვიცემენ. ამიტომაც მათ ორგანულად უერთდება საცეკვაო ნომრებიც: „სვანური საფერხული“ და „მხედრების ცეკვა“;

მშველიძე ქართველ კომპოზიტორთა შორის განსაკუთრებული ადგილს იჭერს მთის ფოლკლორის ღრმა ცოდნით და მისი აქტიური, შემოქმედებითი გამოყენებით. მთის ცეკვებში კომპოზიტორს ხიბლავს რაინდავს პეროიკა, მკაცრი ტონი, რიტმული ძალა, თავისებური მელოდიკა. თავის ოპერებში „ამბავი ტარიელისა“ და „დიდოსტატის მარჯვენა“ შალვა მშველიძე უმთავრესად მთის საცეკვაო ფოლკლორს ეყრდნობა. „სვანური საფერხული“ და „მხედრების ცეკვა“ ტემპურაზნობით და შემტვეი ხასიათით გამოირჩევიან. მათში ნებისყოფის ძალა და შემტვეი სულისკვეთება იგრძნობა. თვი-



სეიბო ქობულაძე —

თელი მათგანს საფუძვლად ხალხური თემები უდევს, რომლებიც მომეტებლად ფაქტურულ-ტემბრალურ განვითარებას განიცდის.

გმირულ-ეპიკური საგუნდო საწყისი კულმინაციას აღწევს ოპერის მეორე აქტში. იმდენად დიდ ადგილს იჭერს ეს ფორმა მის დრამატურგიაში, და იმდენად მაღალია გუნდების მხატვრული დონე, რომ მას თამამად შეიძლება საგუნდო სიმფონია ეწოდოს.

სცენური მოძრაობის თვალსაზრისით მეორე აქტი კიდევ უფრო უმოქმედოა, ვიდრე პირველი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუსიკის ინტენსიური განვითარების, ინტონაციური მასალის ორგანული მთლიანობის, დაპირისპირებათა სიმკვეთრისა და ფორმების აღნაგობის მხრივ იგი მაინც საუკეთესოა ოპერაში. მასში განვითარების ნერვი არ დუნდება და ეს, რასაკვირველია, დრამატურგის სიძლიერეზე მიგვითითებს.

ეს აქტი ძირითადად მიძღვნა საზეიმო სცენებს, მუსიკის საერთო კოლორტი — მზიურია, მასში ბევრია სასიხარულოდ აღიღებული, კამუკა ეპიზოდები. მაგრამ კომპოზიტორმა დასძლია ერთფეროვნების საფრთხე, რადგანაც სა-



— ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისათვის“ (1936)

დაღესასწაულო ეპიზოდებს დაუპირისპირა ელეგიური სევდა (როსტევეანის ფიჭირი სიბერის შესახებ) და მშფოთვარე დრამატისმიც (მონადირეთა გუნდი უცხო მოყმის ნახვის შესახებ, ავთანდილისა და თინათინის დასკვნითი დუეტი).

მეორე აქტის საზეიმო სცენების მუსიკას აერთიანებს ლეიტმოტივი, რომელიც პირველად თინათინის მეფედ კურთხვის ეპიზოდში ჟღერს. იგი საყვირებში იფეთქებს და სასახარეო აღტყინებას გამოხატავს. როსტევეანის ვოკალურ პარტიაში კი ეს თემა მეფის მუსიკისათვის ესოდენ დამახასიათებელ სევდიან იერს იძენს.

პირველსავე გუნდში „ვადიდებთ მეფე როსტევეანს“ სადღესასწაულო განწყობილება მკვიდრდება. ეს არის გულუხვი და ბრძენი, მფომარი და სამარტოლიანი მმართველისადმი მიძღვნილი ზოტბა. გუნდის მუსიკა გამოირჩევა დიდი მელოდური გაჭანებით, სასიმღერო ინტონაციის ფართო მელოდური სუნთქვითა და დიდი შინაგანი ღინამიკით. ამ გუნდში განსაკუთრებით შეიგრძნობა უშუალო კავშირი „აბესალომ და ეფრისი“ მეორე აქტის სადიდებელიდან „აბიო მეფე“. თემა სიმეზიანთა და ხის ჯგუფის ხავერდოვან ტემპში წარმოიქმნება. მისი მთავარი მოტივი ვარიაციულად ვითარდება, იგი

ცვლება რიტმულად და ინტონაციურადაც, ამკვიდრებს მოკრძალებულ—სადღესასწაულო განწყობილებას

გუნდის შუა ეპიზოდი ცოცხალი მოძრაობით უპირისპირდება მომიჯნავე სცენებს. ბანებში ფაგოტებისა და ჩელოების უნისონოში ჟღერს ფუგის თემა „სხვა ძე არ უვის მეფესა“. ეს მელოდია აქტიური კვარტული ნახტომით იწყება, რაც მას ენერგიული შეძახილის ხასიათს აძლევს. სხვათა შორის, ფუგის თემაში იგრძნობა კავშირი პირველ გუნდთან „ვადიდებთ მეფე როსტევეანს“, რაც ინტონაციურ მთლიანობას ანიჭებს შუა ეპიზოდს. ტემბრალური განვითარების გვირგვინია თემის სტრუქტული გატარება: თითქოს საგუნდო და ორკესტრული ნაგებობანი ამოძრავდა. არა, ეს არა მარტო როსტევეანის სადიდებელია, არამედ ცხოვრების სილამაზისადმი მიძღვნილი ჰიმნიც, ოპერის გმირულ-ეპიკური საწყისის დამკვიდრებაც.

¹¹ უსუსუველებს ვეროვოვო ცნებეტის მცოდნეობა კ. გულენ- ცი ხაზს სვამს, რომ სამეფო დასახლებულ მოსტეტიკურბა მომ- ვერბამ ამაბატვეს მშვენიერება გრინაზად-სტეტიკური საყვის- სავან და წმინდა იდეალურ მოვლენად გამოაცხადეს.

კობა გურული

შოთა რუსთაველი





თემო გოცაძე

ლილების ჰიმნი ზეით, ტილო 277X301 სმ

ამაღლებულობის გარეშე არ არსებობს. ამით მშვენიერება ადამიანის საქმიანობის ფოკუსშია მოქცეული, ხოლო რაჟი რუსთაველთან ნამდვილი სიბრძნე მხოლოდ ადამიანის მაღალ ზნეობრივ მოქმედებაში ვლინდება, ჩვენ ვღებულობთ „ვეფხისტყაოსანში“ ღიძღვლი ანტიკური პირიციბის — სიცივისა, ქვშარბებისა და სიღმავლის ერთიანობის — პირველი და ნამდვილი მხატვრულ-ესთეტიკურ განსაზღვრებას. თუ ავგუსტინიდან მოყოლებული თეოლოგიურ-სქოლასტიკური და ნეოპლატონიკური მხედრეა ადამიანის ფიზიკური სიღამავლის უმყარესი მოვლენად მიიჩნევა, რუსთაველმა ფიზიკური სიღამავლე მშვენიერების აუცილებელ პირობად დასვა. პეტრის ერთადერთი ფიზიკურად მახინჯი („თოვლად ნახი“) პერსონაჟი — უხ-

ენი — ზნეობრივადაც მახინჯია, მან ანგარიანი მოსაზრებით ფიცა გატეხა და გასცა ნესტან-დარეჯანი¹².

¹² ზოგი მედარად თვლის ასმათს უღამავო ქალად, ალბათ იმის გამო, რომ რუსთაველი მას „შავოსანს“ უწოდებს. განსხვავებით დასავლეთის რაინდული პოეზიისგან, რომელსაც სიღამავის განსახელებად (ვეფხისტყაოსანში) თეთრი სახე და „ოქროსთმანობა“ მიიჩნება, რუსთაველთან არსად არ გვხვდება სვეტილაურად თეთრი კანის შექება — მთავარია ნაკეთების სიღამავლე, ვარდისფერი ტუჩები, მარგალიტის კბილები და სხვ. ვანა ასმათზე არ არის ნათქვამი: „ზერვიათა მოუბრუნეს პირი ბრძენთა საქებათი“ (სტრ. 370).

შუასაუკუნეებისთვის უნიკალურია რუსთაველის მიერ მხატვრულ-რეალისტური პრინციპების განსაზღვრება. რა თქმა უნდა, რუსთაველის რეალზმი არც „ქლასიკური“ ანუ „შექსპირული“ ული და არც „რომანტიკული“ რუსთაველის შემოქმედებითი მეთოდი არ შეიძლება დასახელები თავისუფალი ყოფილყო ისეთი სტილიზირი შუასაუკუნებრივი ელემენტებისგან, როგორცაა მეტად გაზვიადებული პიკერბოლა და პერსონაჟების გადკარბებული ზნეობრივი იდეალიზირება. მაგრამ განსხვავებით შუასაუკუნეების სხვა პოეტებისგან, რუსთაველი არ სცილდება საერთოდ ბუნებრიობის ფარგლებს და პოემაში არსად — არც სახებში და არც სიტყვატყვიში — არ შეპტის მისტიკური ზეზუნებრივი ელემენტი. საშუალო საუკუნეების პირობებში უველად განსაცვიფრებელია „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ხასიათების შინაგანი მრავალფეროვნება — ამ მხრივ რუსთაველს არა მარტო წინამორბედი არ გააჩნია, მის შემდეგაც არაერთმა საუკუნემ განვლო, სანამ პოეზია ამ სიმღელმედ ავივლიდა. რუსთაველს თავის ეპოქაში ხადალი არ უვს პერსონაჟების ქცევას და სიტყვების წმინდა რეალისტურ ფსიქოლოგიურ მოტივირებაში.

ჩვენ დავკაუთილდებით ამ შენიშვნებით, თუცა არანაკლები მნიშვნელობისა, მაგალითად, რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკურ შეზღუდულთა ირრევიზიონა და პირობებში (თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი პოეზიაში რამდენმე საუკუნით უსწრებს მის ეპოქას). რუსთაველს პოეტის თეორიული სიღრმე და ორიგინალობა (მან პირველმა განმარტა პოეზია, როგორც აზროვნება იერსახებით — სწორედ ამას ნიშნავს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შორია ამაღ კარგო“). პოეტური ფორმის შეგნებელი ხალხბრობა და ამაღლებული სისაღვე (ნაცვლად მაღალფარდოვან სამეფოსკარო-მანეჟირაკულ ან მძიმედ არკულ სასულიერო-სოციალისტისა ს შეგნებულად ირჩევს ხალხურ შაირს, რადგანაც წერს არა არისტორატისთვის, არამედ ხალხისთვის — მას არა ნაკლებ „თამარისანის“ ან „აბდულმესისანის“ ავტორისა შეეძლო ლექსის ფორმალური ვიტრუოზული ორნამენტირება და განსწავლულობის მანეჟინებელი სახელებით ატრელება) და მრავალი სხვა, რითაც მან გამაღიარა მსოფლიო პოეზია. ვიმეორებთ, რუსთაველის იდეური სამყარო ამოუწურავია. მისი ქეშპირიტი შემქმედებითი ხასის წარდგენა მსოფლიო კულტურულ არენაზე ჩვენი დიდი ეროვნული ამოცანაა. მის შესრულებაში უნდა გამოიჩინოს ნამადვილი სოლიდარობა, ურთიერთლიოლობა და მეგობრული დახმარება. რუსთაველის იუბილემ ნამადვილო გარდატეხა უნდა გამოიწვიოს ამ დიდიმნიშვნელოვან საქმეში.



თემო გოცაძე

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა ზეთი, ტილო 64x146 სმ.

თემო გოცაძე — ილუსტრაციები



თემო გოცაძე

„რჩევა ნესტან-დარეჯანის ვითხოვებისა“ ზეთი, ტილო 64x146 სმ.

„ვეფხისტყაოსნისათვის“

თემო გოცაძე

„უბრძინა: „წილით, დეარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჰობია.“ ზეთი, ტილო 64x146 სმ





თემო გოცაძე

„ხვარაზმას შვილის ინდოეთს მოსვლა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკვლა.“
ზეთი, ტილო 64X146 სმ

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სოკეარო ლიბრეტო

მიხეილ ყვარელაშვილი

რესპუბლიკის სახალხო არტისტი

1

ურნალმა „საბჭოთა ხელოვნება“ 1964 წლის მერვე ნომერში მოათავსა მუსიკის-მცოდნე არჩილ მშველიძის წერილი სარლამპი სავანელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ხ. სა-

ვანელის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მუსიკალური განათლების საქმე არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში. მის მიერ 1874—1876 წლებში დაარსებული პირველი ქართული სამუსიკო სკოლა საფუძვლად

თემო გოცაძე

„ზღვასა დავანთქი, დავბოცე თმამცა რაღა ავოსას“
ზეთი, ტილო 64X146 სმ.



დაედო თბილისის კონსერვატორიას, რომელიც დღეს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ მოწინავე უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლად ითვლება.

სარლამპი სავანელის ყურადღება მიმართული იყო ეროვნული კულტურის უძველესი ძეგლებისა და ქართული სახლური მუსიკალური შემოქმედების დაცვისაკენ. მასთან ხშირად იერიებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, ნიკო ცხევეძე. მათთან ერთად ხ. სავანელი იღწვოდა ქართველი ერის განათლებისა და კულტურული აღორძინებისაკენ. იგი ზრუნავდა საქართველოში ვოკალური კულტურის დანერგვისა და განვითარებისათვის, ეძებდა მუსიკით გატაცებულ ახალგაზრდებს და ბევრს სრულიად უსასყიდლოდ ამცადინებდა კიდევ მუსიკაში.

ხ. სავანელის ოცნება იყო ქართული ეროვნული ოპერის შექმნა. იგი პირველი ქართველი მუსიკოსი იყო, რომელსაც შოთას „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ქართული ოპერის შექმნის სურვილი დაებადა.

ხ. სავანელმა სანუკვარი ოცნება თავის მეგობარს, ცნობილ კომპოზიტორს მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვს გაუზიარა, რომელიც იმხანად საქართველოში მოღვაწეობდა.

1883 წელს პეტერბურგიდან „რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოებამ“ თბილისში მოაწვინა ნიჭიერი კომპოზიტორი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი. მან ჩამოაყალიბა „რუსეთის სამუსიკო საზოგადოების თბილისის განყოფილება“, რომლის გამგებლობაში გადავიდა ხ. სავანელის მიერ დაარსებული სამუსიკო სკოლა.

მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო საქართველოში მუსიკალური კულტურის განვითარებასა და განათლებას. ამან კიდევ უფრო განამტკიცა მისი მეგობრობა და თანამშრომლობა ხ. სავანელთან და ქართული კულტურის სხვა მოღვაწეებთან.

მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა დიდი გულმოდინებით შეისწავლა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, ხალხური სიმღერები და ზეპირსიტყვიერება. ამ მიზნით მან შემოიარა მთელი კახეთი და ხალხური სიმღერების არა ერთი მაღალ-

მხატვრული ნიმუში ჩაიწერა, შემდეგ კი თავის ნაწარმოებებში შემოქმედებითად გამოიყენა.

ქართული ეროვნული ოპერის შექმნის აზრი იპოლიტოვ-ივანოვმა სისარულით მიიღო. ოპერის სიუჟეტად არაერული ექნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომლის რუსული თარგმანი, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა. ხ. სავანელის შთაგონებით ივანე მანაბელმა ოპერის ლიბრეტოსათვის სახელდახელოდ თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ ის ადგილები, რომელშიც თხრობას მოქმედება სჭარბობდა. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა ი. მანაბლის თარგმანის საფუძველზე ლიბრეტო ააგო და „ნესტან-დარეჯანი“ უწოდა. მ. იპოლიტოვ-ივანოვი შესდგომია ოპერის შექმნას, თუმცა ეს სურვილი ბოლომდე არ მიუყვანია. ამ თემას ხშირად უბრუნდებოდაო — ამბობს მუსიკისმცოდნე არჩ. შველიძე და განაგრძობს: „ამჟამად ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერების განყოფილებაში დაცულია „ნესტან-დარეჯანის“ ლიბრეტოს რამდენიმე ვარიანტი. იქვეა კომპოზიტორის თხევინთ ამ ლიბრეტოზე დაწერილი, ცნობილი რევისიორის სანდრო ახმეტელის რეცენზიაც. ავტორი ლიბრეტოს იწონებს, თან თავის რევისორულ მოსაზრებებს გამოთქვამს იმის შესახებ, თუ როგორი სცენური განსახიერება უნდა მიიღოს ამ ოპერამ მისი დადგმის დროს. ს. ახმეტელის აზრით, მთელ ოპერას ზღაპრულ-სადღესასწაულო ელფერი უნდა ჰქონოდა“.

ჩვენს მიერ მიკვლეულია კომპოზიტორ მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის ოპერის „ნესტან-დარეჯანის“ ლიბრეტოს ხელნაწერი, შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ოთხ მოქმედებად და ხუთ სურათად. რაც შეეხება მუსიკას, იგი ჯერ-ჯერობით მისაკვლეულია. გუბს გარეშეა, რომ მუსიკაც იყო შექმნილი, ვინაიდან თვით კომპოზიტორს ლიბრეტოს თავში — წაუწერია: „ლიბრეტო და მუსიკა მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვისა“. ლიბრეტო გადაწერილია 1923 წლის მარტში, მოსკოვში, ივანე მანაბელმა კი იპოლიტოვ-ივანოვს „ვეფხისტყაოსანი“ უთარგმნა 1884—85 წლებში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ ხნის განმავლობაში მუსიკაც დაიწყო



თემო გოცაძე

„დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი. მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შეილი“.
ზეთი, ტილო 64x146 სმ.

თემო გოცაძე—ილუსტრაციები



თემო გოცაძე

„კვლა შევიბენით, შეიქმნა ომისა სიბარცხენია“.
ზეთი, ტილო, 64x146 სმ

„ვეფხისტყაოსნისათვის“

თემო გოცაძე

„ამაგი ტარიელის გამიწურებისა“
ზეთი, ტილო, 64x146 სმ





გვი ეაშაიქე
„ვეფხისტყაოსნის“
მოტივებზე
გუაში, ქალაქი
12x13 სმ.

კისმცოდნე არჩ. მშველიძე მიგვითითებს).

თარგმანიდან ჩანს, მაჩაბელს გაუთვალისწინებია საოპერო ლიბრეტოს სპეციფიკა. მასში ვერ შეხვდებით გაჭიანურებულ დიალოგებს, პოემიდან შერჩეულია ის ადგილები, რომელნიც დინამიურს გახდინენ სცენურ მოქმედებას, არ შეანულებდნენ რიტმს და არ მიჰყვებოდნენ ეპიურ თხრობას. შესაძლებელია თარგმანი ნაჩქარევად შესრულდა, მაგრამ მასში მაინც იგრძნობა დიდი ისტატიის ხელი. ი. მაჩაბელი ლექსად აწყობის ცდასაც ახდენს. შესაძლებელია რუსულ თარგმანში რუსთაველური ლექსის რიტმი არ იყოს დაცული, ან უზუსტობასაც ვნახულობდეთ, მაინც ინტერესს მოკლებული არ არის მაჩაბლისეული ლექსის აქ მოტანა. პირველი მოქმედების პირველ სურათში ხატებულებთან დიდ ომში გამარჯვებით დაბრუნებულ ტარიელსა და მშვენიერ ნესტანს ქალთა გუნდი უმღერის:

„С любовью героя встречает народ
Тяжелой войне косяк наест,
Строен и гибок молодой его стан,
— Как роза весной
Так блещет красюю

Нестан-Дареджан“.

პირველი სურათის დამთავრებისს ვგვარჯშმს მეფის შვილზე ნესტანის დანიშნვის ამბის გაგებით აზავებული ტარიელი მღერის არიას:

„За что меня судьба так страшно
наказует?

Ужель моя любовь к Нестан
преступна?

Ее как дочь свою отдать он волен
Но престол отдать, отдать наследие
отцов это преступление:

Я также царской криви
И мне по праву вместе с царством
должна принадлежать мне она.

Пока в руках держу я меч,
Пока я верю в свой народ
Я докажу что чужеземцу
Престол наш славный не занять“.

ნესტან დარეჯანი:
„Дружба и любовь вновь в мире
вдворится,
Счастье — солнце родины
ярко
загорится“.

შესაძლებელია ლიბრეტო კარგად არ იყოს დამუშავებული, მაგრამ იგი ჩვენი ლიტერატურის, თეატრისა და მუსიკის-

რებოდა, თუნდაც ფრაგმენტების სახით. არჩ. მშველიძე წერს: „სამწუხაროდ, კომპოზიტორს ეს სურვილი ბოლომდე არ განუხორციელებია, თუმცა ამ თემას აშორად უბრუნდებოდაო“. ამასთან ალ. ახმეტელი თავის რეცენზიაში ლიბრეტოს ერთ-ერთი მომენტის შესახებ გამოსთქვამს აზრს: „მარშით გამოსვლა, მე გგონი მოსაწყენია“. საფიქრებელია,

რომ კომპოზიტორმა ალ. ახმეტელს ლიბრეტოს განხილვის დროს მუსიკაც მოასმენინა, რის შემდეგ რეჟისორმა „მარშის“ შეცვლა ურჩია.

ჩვენ ხელთ არის „ნესტან-დარეჯანის“ ლიბრეტოს 23 ფურცლის ფოტო-ანაბეჭდი“ (შოთას „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდების ი. მაჩაბლისეული თარგმანის ის ვარიანტი, რომელზედაც მუსი-

სოსო ქოიავა

„რა ესმოლის მღერა ყმისა, სმენალ მხენი მოვიდიან“.



მკოდნეობისათვის მინც საინტერესო მასალაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1925 წელს კომპოზიტორის თხოვნით „ნესტან-დარეჯანის“ ლიბრეტოს საფუძვლინად გასცნობა დიდი ქართველი რეჟისორი ალ. ახმეტელი. იგი იწონებს ლიბრეტოს და მისი გასცენირების შესახებ გამოთქვამს თავის შესხედულეებებსა და მოსაზრებებს. ალ. ახმეტელი სვამს კითხვას:

„შეიძლება თუ არა რუსთაველის პოემის მხოლოდ ამა თუ იმ ეპიზოდის მიხედვით სასცენო სიუჟეტის აგება?“

მე თავიდანვე მხოლოდ იმითომ ვაყენებ ამ საკითხს, რომ ეპიზოდის საფუძველზე დრამატული მოქმედების გაშლა შეუძლებლად მიმაჩნია.

ლიბრეტოში ტარიელის პირადი ტრაგედიის მთავარ ღერძად აღება ასევე შეიძლებულია, რადგან მთელი ტრაგედია, საბოლოო ჯამში, ინტიმურ ჩარჩოში მოექცევა. თვით ლიბრეტო „ნესტანი“ მოსაწონია, ვინაიდან იგი მოიცავს ნაწარმოების მთავარი ნაწილის თითქმის ყველა არსებით მომენტს. ჩემის აზრით, „ნესტანის“ ლიბრეტო უნდა გაიშალოს უზაბრული ფერადოვნებით, ხასიათებისა და ცალკეული აქტების დინამიკურობით. ვინაიდან ნაწარმოების დედარსის მთლიანად გადმოცემის შესაძლებლობა არ არის, მოცემულ ლიბრეტოში უნდა მოხდეს პოემის ცალკეული და ამასთან ძირითადი მომენტების გამოვლენა, ფერთა სიუჟეით, პლასტიკით, დინამიკურობითა და აღმოსავლური მზიურობით. მე ამ თვალსაზრისით ვუდგებო ლიბრეტოს.

პირველი სურათი იწყება კარგად. იგი შესაძლებლობას იძლევა სცენაზე განვითარდეს ბრწყინვალე, შესანიშნავი, ღამაში აღმოსავლური სურათი: გამარჯვების ზეიმი, გმირობისადმი სწრაფვარადა თქმა უნდა, ამ სურათში უნდა იყოს სახალხო სიხარულის გამომსახველი დინამიკურობა, დიდი ზეიმზარი. ამ საერთო ალტაცებისა და სიხარულის ფონზე, ტარიელისა და ნესტანის ტრაგედიის შემოჭრა, ჩემის აზრით, უადგილოა და ვერც არის სათანადოდ განვითარებული. იგი ძალზე სუსტია. მხოლოდ ტარიელის არაა მიგვაინიშნებს დრამის დასაწყისზე. საერთოდ დრამის

წარმოშობა ძალზე მუნწად ხდება. ამასთან ხალხი თუ ხალხის ნაწილი ამ ზეიმურობაში ვერ გამოხატავს ტარიელისა და ნესტანის განდიდებას, მაშინ როდესაც მთელი ეს სცენა მათ მიეძღვნებათ. იგი ვერ მივა მასურებლამდე. დიდად პატყვემულო მიხელო მიხეილის ძეგ, მე ვთხოვთ ამა მოაქციოთ ყურადღება. დრამის დასაწყისი უნდა იყოს მკაფიო.

შეიძლება შემოთავაზოთ შემდეგი ვარიაცია: შეიქმნას საერთო ზეიმი, ცეკვები, თამაში, მხიარულება — ბოლოს მოეწყოს ნესტანის უარის თქმა საქმარზე — მამის განრისხება, საერთო არეულობა, მოახლოებული ჭეჭა-ქუხილის განწყობილება. ტარიელის არაა ცეკვებამდე უნდა იყოს. არაა შეიძლება გადაიზარდოს ტარიელის, ნესტანის და ასმათის ტრიოში. ამ დროისათვის კი სცენაზე ჩემს მიერ შეთავაზებული საზეიმი მზადებაა. ცეკვების



სოსო ქოიავა

„ლიკვი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ზვადია.“



გივი ვაშაკიძე
„ვეფხისტყაოსნის“
მოტივებზე
გუაში, ქალაქი
12x13 სმ.



ხიკოლოზ ხაჭყეია
აკაქი მოსიავა

პლაკატი რუსთაველის დაბადების
800 წლისთავისთვის
ზეთი, ტილო 75x105 სმ.

შემდეგ — სკანდალი მამასთან, ფარსადანთან. ხალხის რეაგირება — ანსამბლი. დასასრული.

მეორე სურათი კარგი იქნებოდა დაწყებულიყო ნესტანის პატარა ართი. ჩემი წინადადება ამ სურათში შეიტანოთ შემდეგი ცვლილებები: ლიბრეტოს მიხედვით ტარიელის შემდეგ გამოჩნდებიან მეგობარი გოგონები, რომლებიც მღერაან და ცეკვავენ. დავარის გამოჩენისთანავე ისინი გარბიან. ჩემი წინადადება კი ასეთია: მეგობარი გოგონები დავარის მოსვლის შემდეგაც სცენაზე უნდა დარჩნენ. დავარი მათი თანდასწრებით ახდენს ნესტანის გატაცების აქტს. გოგონები ასმათან ერთად იწყებენ ტირილს ტრადიციული აღმოსავლური ზეჩვეულებით, ისე როგორც

ზარი იციან ქუთაისის გუბერნიაში. ასმათი ხმით მოთქამს. გოგონები მიუმღერებენ. შემოდის ტარიელი, ყველა ერთხმად უდასტურებს ნესტანის გატაცების ამბავს. ტარიელს, როგორც ღმერთს, ლოცვითა და ვედრებით თხოვრებ შეეღას. ამ სურათში დამსწრე მეგობრების წყალობით შეიძლება გაიშალოს საინტერესო მოძრაობა და უწყვეტი გამეფაობის გვერდით უფრო მეტად გამჟღავნდეს დავარის სიმკაცრე, აღმოსავლური ტირილი.

კარგი იქნება მოეწყოს ნესტანის გამოთხოვების სცენა ასმათან და მეგობრებთან. თუ კი ისინი სცენაზე დარჩებიან, მაშინ ყოველივე ამის გაკეთება კარგად შეიძლება. მესამე სურათი მისაღებია მილიანად. მხოლოდ დევისა და მათი მხედრობის გამოსვლა კოლორიტულად უნდა გაკეთდეს. მარშით გამოსვლა მე მგონი მოსაწყენია. ისინი მესამე კარიდან ქარიშხალივით შემოიჭრებიან ცეკვით, ხმაურითა და დიდი მოძრაობით, მათი წინამძღოლები მადლობას უხდიან ტარიელსა და ავთანდილს განთავისუფლებისათვის და ეძღვიან განუზომელ სიხარულს. აქ შეიძლება ჩაერთოს ორიგინალური ბალეტი და ამით დამთავრდეს სურათი.

მეოთხე სურათი. მე ვთვლი, რომ ეს სურათი მეტად მხატვრული და ფერადოვანია. მხოლოდ არ ვეთანხმები დაბოლოებას. მე მგონი სურათი უნდა დამთავრდეს ასე: ავთანდილი და ფრიდონი ხედებიან ფატმასს, უკანასკნელი მათ ატყობინებს ნესტანის ადგილსამყოფელს. აქ ერთის მხრივ უნდა გაიბას ავთანდილისა და ფატმანის სატროფალო სცენა, ხოლო მეორეს მხრივ, ნესტანის კვალის მიგნებით ავთანდილისა

და ფრიდონის სიხარულის სცენა. უნდა გამოითიშოს ნესტანის წერილის სცენა. ხალხის დარჩენა სცენაზე შეიძლება სურათის ბოლომდე, მაგრამ ინტერესს წარმოადგენენ მხოლოდ ავთანდილი და ფრიდონი.

ამ სურათის შემდეგ მე გთავაზობთ ახალი სურათის შექმნას. ვეცდები მოვლედ ავიწეროთ მისი ორი ვარიანტი.

ახალი სურათი შეიძლება იყოს ფატმანის, ავთანდილისა და ფრიდონის სცენის გაგრძელება. ფატმანისა და ავთანდილის სატროფალო სცენა განვითარდეს დასაწყისიდან, ნესტანის წერილის მიღებისთანავე, შემდეგ, სამოქმედო გეგმის განხილვა, დასრულდეს ეს სცენა ტარიელის მოსვლით. ეს სურათი შეიძლება დამუშავდეს სრულიად ახლებურად.

მეორე ვარიანტი — ეს სურათი შეიძლება ავაგოთ ნესტანის სცენის საფუძველზე. ამ სურათში გადმოცემული იქნება ნესტანის გამოუთქმელი ტანჯვა ახალ გარემოებაში. ტარიელისაგან მიღებული წერილი და პასუხი. მე პირადად ვამჯობინებდი პირველ ვარიანტს. აქვე უნდა იქნეს გადმოტანილი ნესტანის არიაც.

მე სრულებით არ ვეთანხმები მესუთე სურათს. მე მგონია იგი ჭკავს მივლს სიუჟეტს. წინადადება შემომამქვს სურათი დაიწყოს შემდეგნაირად: ღამეა, ქაჯებთან დიდი ზეიმი. ქაჯების მეფისწული ემზადება ნესტანთან დასაქორწინებლად, ცინეკოუსის ეზო-ყურეზე გაშფებულა საერთო სიხარული. მზიარული მეფისწული ხალხს გულუხვად მასპინძლობს. დიდ ქეიფში გართული ქაჯები ვერ ამჩნევენ ტარიელის ბანაკიდან შემოსულ გადაცემულ მხედრებს. ახატებულად დროობის მომენტში ეწყობა თავდასხმა. სცენაზე აურზაური და აღიპოითია. ავთანდილი და ფრიდონი ტარიელს თხრილზე გადასვლაში ეხმარებიან. მტერზე გამარჯვება მოპოვებულია.

აქ უნდა შეიქმნას ქაჯების გამოყვანის ურვეულო სცენა, მათთვის დამასასითაბელი თვისებური მოძრაობით. იგი სრულიად უნდა განსხვავდებოდეს სხვა წინა სურათებისაგან თავისი რიტ-

მით, კოლორიტითა და ფერადოვნებით. ა. ამბეტელის.

აღ. ამბეტელის რეცენზია მისი დიდი რეჟისორული ნიჭისა და ფანტაზიის თვალსაჩინო ნიმუშია. იგი კომპლექსის თითოეული სურათით კვლადაკავლ ქმნის ახალ დრამატულ სიტუაციებს, სცენურ მოქმედებას, გამომსახველ მიზანსცენებს, ოპერის დადგომის მთელ პერსპექტივას. იგი თავისებურად უდგება ლიბრეტოს, სთავაზობს კომპოზიტორს ახალ-ახალ ვარიანტებს, მოითხოვს გზნებით სავსე მასობრივ სცენებს, ხალხის ფსიქოლოგიური მიზანსწრაფვის ვადმოცემას, მხატვრულ სახეთა სიღრმეს, პლასტიკას, დინამიკას, ფერადოვნებას.

ლიბრეტოს თითოეული სურათის ს. ამბეტელისეულ რეკონსტრუქციაში ჩანს მისი ცეცხლოვანი ტემპერამენტი, რეჟისორული ხედავა, საოპერო ეპიკის სპეციფიკის ცოდნა.

ნიშანდობლივია, რომ ი. მაჩაბლის თარგმანის სისხარტე, მოქმედების დინამიურობა, ქართული სიტყვისა და დიალოგების რიტმული გამართვა, ტემპერამენტი, — ეს ის არის, რასაც ამბეტელი ეძებდა ქართულსა და უცხოურ დრამატურგიაში. ალბათ ამიტომაც ემხმედება ალ. ამბეტელის მოსაზრებანი ივ. მაჩაბლის თარგმანს: უბრალოება, ხალხურობა, მშვენიერება, ასეთი იყო ალ. ამბეტელის შემოქმედებითი მიზანი და ასეთივე თვალსაზრისით მიდგომა ლიბრეტოს განხილვას.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ალ. ამბეტელის დაუცხრომელი იტენება იყო „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურება და მისი დადგმა ღია ცის ქვეშ. ამისათვის მას ადგილიც ჰქონდა შერჩეული: ძველი ნარიყალა, ბოტანიკური ბაღის ფერდობები.

ალ. ამბეტელი კარგად იცნობდა ქართულ ხალხურ თეატრალურ შემოქმედებას, ხალხურ თეატრონს, ნიღბებს, ბერეკაობას, ყვენობას, ჩრდილობანასა და ხალხურ სპორტის სახეობებს. მას გან-

ზრახული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურება ეპიკურ-ზღაპრულ ხასხებში, სადაც ფართოდ იქნებოდა გამოყენებული ხელოვნებისა და სპორტის მრავალფეროვანი ელემენტები. მისი წარმოდგენით როსტევეან ლევისა და ავთანდილის ვაკეკური შემადგენის, ნადირობის სცენა და უცხო მოყმის ნახვა ერთ ულამაზეს სანახაობად უნდა გადაშლილიყო.

განსაკუთრებული გზნებითა და გატაცებით წარმოსახავდა ბატალურ ეპიზოდებს, ქაჯეთის ციხის აღებას, ნესტანდარეჯანის ციხიდან გამოსხნას, სამი გოლიათის — ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის გამარჯვებას, მათ ტრიუმფალურ სვლას. ალ. ამბეტელის გეგმით ამ გრანდიოზულ სახალხო სანახაობაში მონაწილეობას მიიღებდა თბილისის ყველა თეატრალური დასი.

ალ. ამბეტელის წარმოდგენას უნდა ჰქონოდა იმპროვიზაციული ფორმა, სპექტაკლის მსვლელობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა თვით მაცურებელი, შემახილებითა და რეაქციით.

ასეთი იყო ტემპირატი ხელოვანის,

რუსთაველის სახელობის თეატრის სულისა და გულის, ალექსანდრე ამბეტელის განზრახვა — შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის მიხედვით შექმნა მონუმენტური, დიდი ეროვნული სახალხო სპექტაკლი. შოთას გმირები: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ხომ ალ. ამბეტელის ესთეტიკურ იდეალს წარმოადგენდნენ. იგი თავის შემოქმედებას აგებდა სწორედ „ვეფხისტყაოსნისებური“ სიყვარულის, მეგობრობისა და გმირობის ძლიერ ვენებზე. დიდმა რეჟისორმა ასეთი იდეები დაულო საფუძვლად თავის ჰეროიკულ-რომანტიკულ თეატრს და შექმნა კიდევ ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური სპექტაკლები. ია-ვარდით არ ყოფილა მოუფენილი მისი შემოქმედებითი გზა, წარმატებას თავბრუ არ დაუსხამს. იშვიათი სიყვარული, სამაგალითო მეგობრობა, გმირული ბრძოლის უნარი, მღვლავარე ცხოვრება და მშფოთვარე გული საბჭოთა ქართული თეატრის სამსხვერპლოზე მიიტანა. მისი უზალოდ შემოქმედება ჯერ კიდევ მოელის პირუთვნელ განსჯას.

თენგიზ შირზაშვილი

პოეტის გარდაცემა



¹ რეცენზიის ფოტოანბნების უკანასკნელი ფურცლის უკანა მხარეს, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლის მიერ მკრთალად ფანქრით არის აღნიშნული: Ахметели А. 2473/2 (записка по поводу оперы «Нестан-Дареджан» составленной М. М. Ипполитов-Ивановым). Авторграф, 1925 г.

პირველების მხატვრული ხაზის მუსიკალური
ხორცუნება მუდამ იქნება წარმატებული და სა-
გვგანებელი მხატვრული ამოცანა ქართველი
კომპოზიტორებისათვის. მაგრამ ო. თაქთაქი-
შვილის ორატორია დარჩება „მუსიკალური
რუსთაველიანის“ (ამ შემთხვევაში მხედვე-
ლობაში არ გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ მუსი-
კალური ინტერპრეტაციის ისტორია) პირ-
ველ ღირსეულ ნიმუშად.


შემთხვევით არ არის, რომ თავისი მხატ-
ვრული ჩანაფიქრის ხორცუნებასსმეღელი კომ-
პოზიტორმა ორატორიის ენაზე შეაჩრია. აქ
მას ჰყავდა საიმიდო მიაკაშირე პოეტური
სიტყვის სახით, თანაც ისეთი შიამაყონგე-
ლი და მაღალხარისხოვანი მასალა, როგორც
და ი. აბაშიძის შესანიშნავი ციკლი.
მაგრამ ორატორიის ფორმისადმი მიმარ-
თავს თაქთაქიშვილისთვის აქვს კიდევ თავისი
პრინციპული საფუძველი. ცნობილია, რომ
უკანასკნელი წლების მანიჩლვო ვოკალურ-
სიმფონიური ენაზე იქცა კომპოზიტორის შე-
მოქმედებითი მუშაობის ძირითადი მაგისტრა-
ლად. პრინციპულ მიდრეკილება ამ სინთე-
ზური ენარისადმი კომპოზიტორი მუდამ
ზახს უფვანს თავის საჭარო გამოსვლებში,
პრესაში და, რაც მთავარია, ადასტურებს სა-
კუთარი შემოქმედებითი პრაქტიკით. უკანას-
კნელ ხანებში მან შექმნა ამ ენარის ორი სა-
სულიერებო ნიმუში: ორატორიები „ცოცხალ-
ი კერა“ (ს. ჩიქოვანის ტექსტებზე) და
„რუსთაველის ნაკვალევზე“. ეს ორი ნაწარ-
მოები სავსებით განსხვავდება ერთმანეთისა-
გან თემატიკით, დრამატურგით და თვის
მუსიკალური ენის მრავალ თვისებით, მაგ-
რამ მათ აერთიანებთ მაღალი და ცხოველ-
მყოფელი ჰუმანისტური იდეა. ამ მხრივ ისინი
აგრძობილებენ ო. თაქთაქიშვილის წინა
წარმოებების (ერქობად, ოქერა, „მინდას“) **ხაზს.**

ი. აბაშიძის პოეტური ციკლი, რომელზეც
I დ. არაუიშვილის პოპულარულ ოპერას
„თქმულენა შოთა რუსთაველზე“ თავისი სი-
უძველესი და თვით მუსიკის ხასიათის სპეცი-
ფიკურობის გამო არ შეიძლება პეონდეს ამის
პრეტენზია.

ოქა

სულენათს

გულბათ ტორაძე



და სულენათს — სრული უფ-
ლებითი შეიძლება ასე ვუწოდოთ
ოთარ თაქთაქიშვილის ორატორი-
ას — „რუსთაველის ნაკვალევზე“.
ისევე, როგორც მისი პოე-
ტური პირველწარმო — ირაკლი აბაშიძის
ლექსთა ცნობილი ციკლი, თაქთაქიშვილის
ნაწარმოები უღრმესი პათოსისთვის, კერძო-
რითი პიეტეტის გრძობითაა განსკვადული
ქართული ეროვნული კულტურის უღრმეს
ვენიოსისადმი და ქვესააუარი — „საიდგე-
ხელი ვალოშანი“ საესებით შეესატყვისება
მის მხატვრულ შინაარსს.
იმ ნაწარმოებებს შორის, რომლებიც მიე-
დნა ქართველ ხალხის ეროვნულ დღესასწა-
ლს.

ულს — დიდი შოთას დაბადების 800 წლის-
თავს, თაქთაქიშვილის ორატორია გამოირჩევა
არა მარტო თავისი მასშტაბებით, მუსიკალური
მასალის მაღალხარისხოვნებით და არქი-
ტექტონიკული სიმტკიცით; კომპოზიტორის
შემოქმედებითი გამარჯვების პრინციპული
მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან
წარმოებითი გარშთა თავი უღრესად რთულ
და სპასაუხისმგებლო ამოცანას — მუსიკა-
ლური საშუალებებით წარმოესახა შოთა
რუსთაველის პორტრეტი მისი ცხოვრების
დასავალზე. მან ჩაგვანდა გენიალური შე-
მოქმედის სულიერ ნაშაარში და გვარძობო-
მინა იმ პოეტურე ეპოქის სუნთქვა.
უდავოა, რომ შოთას — შემოქმედისა და

ვლადიმერ კანდელაკი

თინათინის გამეფება

ვლადიმერ კანდელაკი

ქორწილი



შეიქმნა პალესტინაში მისი მოგზაურობის შემდეგ, უშუალო მხატვრულ სტიმულად იქცა კომპოზიტორისთვის და თავისი პატრიოტული პათოსით, განძნობა ამაღლებულიებით, პოეტური სრულიყოფილებით მან დიდი როლი შეასრულა ორატორიის წარმატებაში. ი. აბაშიძის ცილიდან შერჩეულია შეიდი ყველაზე ძლიერი, დრამატურული „საკვანძო“ ლექსი. გარდა ამისა, გამოყენებულია (მე-6 ნაწილში — „გადაბეჭდილი“) ტექსტი პოეტის ერთ-ერთი უფრო დრამატული ლექსიდან („რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“; კრებული „ლირიკა“ 1968 წ.). ნაწილები ორატორიაში იმდენად დალაგებულია, რომ იქმნება ერთიანი დრამატურული ადამიანი ხალხი, რომელიც შეყვარვალ ადუნეს ფინალის დრამა შობაზე დაე მუსიკაში. ნაწარმოებში თითქმის ვერ შევხვდებით გარეგნულ კონტრასტებს, ექვეტორ დრამატულ შეიბრისპირებებს, კომპოზიტორი შეგნებულად იზღუდება ეცონომიური, საგანგებოდ შერჩეული გამოსახველ სერსებით. მხატვრულ-სტილისტიკური ერთგვარობა, რაც თქათაიშვილის ორატორიის ნიშნდობლივ თვისებას შეადგენს, უქნადლობა ოსტატური განაწილების წყალობით, არსად არ გადადის ერთფეროვნებაში (სეითია, კერძოდ, ნაწარმოების საბოლოო ვარიანტი, რომელშიც კომპოზიტორმა რიგი ცვლილებები შეიტანა).

მუსიკალური თხრობის საერთო ტონი დანი, დრამატულია, მკაცრი ეპიკური რიტატიკა, თავისებური გახვეწილი მონოლოგები კეთილშობილი, თავგუდავებული ნაღველითაა შეფერილი. ნაწარმოები თითქმის მთლიანად მონოლოგიური პრინციპით არის აგებული. მთხრობელის როლში ძირითადად თითქმის შოთაა გამოყვანილი. მისი მგანჯეგე მოგონებები შორეულ სამშობლოზე, მშენებარე ფიქრულ თავის ბედუღუღამობაზე ვუკაცური სევდით, ბაქნული რწინა-ციით არის აღსახვ.

ფ. ლისტის მსგავსად, თქათაიშვილს შეეძლოა ნაწილი არ იყო ნაწარმოების თავდაპირველ ვარიანტში.



ვლადიმერ კანდელაკი

ავთანდილის სიმღერა

ქმლო ეწოდებინა თავისი ნაწარმოებისათვის — *Lamento e trionfo*³. მართალია, ორატორიას არ გააჩნია „აპოთეოზური“ დასასრული (40-50 წუთის ცუდი ტრადიციებით), მაგრამ მისი შინაგანი დედაზარი სწორედ ასეთია.

რამდენიმე სიტყვა ნაწარმოების მუსიკალური სტილის სხვადასხვა მხარეზე:

3 „ჩივილი და დიდება“ — ასეთი ქვესათაური აქვს ლისტის ცნობილ სიმფონიურ პოემა „ატრაქვიკაო ტასო“, რომელიც მიმდინარეობს სახელგანთქმული იტალიელი მწერლის ტრაგიკული ბედისაღმ.

ორატორიის მუსიკაში ორგანულად არის შერწყმული საღვებედილი ოდის, ქართული საუღლო მუსიკა და ხალხური სიმღერის ეანრული და სტოლისტური ელემენტები. განსუტრებით მნიშვნელოვანია მეორის სტერიტი წონა. ქართული საგალობელი — თავისი მკაცრი ამაღლებული პოეტური წყობით ჩვენი ეროვნული კლასიკის სწორუკავარი ძეგლის ამახლოვებელი და თერის⁴ გენიალური გუნდები, — აი. ო. თქათაიშვილის ორატორიის ძირითად სტილისტიკური წყაროები. ცხადია, ყოველივე ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქმის ავტორის ინდივიდუალური იდენა მინქმალული იყოს ნაწარმოებში. ი. თქათაიშვილის საკომპოზიტორი ხელწერის თავისებურებანი იგრძნობა თითქმის ყოველ ტაქტში. მუსიკალური ენის ყოველ კომპონენტში, ხოლო თუ მოვიდომებთ უშუალო კავშირის დამყარებას მის წინა ნაწარმოებთან, აქ შეიძლება მოვიგონოთ ოქრა „მინიალი“ ამაღლებული ქორალები, ნაწილობრივ, „ოილიოს მეფისათვის“ დაწერილი მუსიკა, არსებითად კი, შეიძლება ითქვას, რომ „რუსთაველის ნაკვალევზე“ ახალი და საინტერესო სიტყვა კომპოზიტორის შემოქმედებით ევოლუციონა.

ნაწარმოების ერთ-ერთ საგულისხმოდ თავისებურებას ის შეადგენს, რომ მასში ვერ შევხვდებით სიმფონიზმის ნიშნებს ამ ცნების ტრადიციული გაგებით (იგულისხმება თემატიკური დამუშავების ინტენსივობა, მასალის ტრანსფორმაციის პრინციპი, ინტონაციური „თაღების“ შეყოფი და ა. შ.), ამავე დროს, თავისი კომპოზიტორის, დრამატურული აქტიურობის, გაზრდილი დინამიკური პლანის წყალობით ნაწარმოებში სახესებით „სიმფონიური“ შთაბეჭდილებას ახდენს.

კიდევ ერთი თავისებურება. მთელი ამ ვრცელი ნაწარმოების მანძილზე კომპოზიტორი შეგნებულად უქცევს გვერდს კლასიკურ პოლიფონურ ფორმებს, კონტრპუნქტული განვითარების მეთოდებს და ავებს მას აკორდული-ქორაული ფაქტურის პირიცაზე. ამასთან უშუალო კავშირშია ნაწარმოების საორკესტრო პარტიტურის თავისებურებაც, რომელშიც დამკვირვებელ, მკითხველ ტემპების (სიმეობანი საკვანძები მაღალ რეგიტრში, ჩელისტა, არფა, „მადალი“ ფლიტები) გვერ-

ვლადიმერ კანდელაკი

ბრძოლა ხატელებთან





დისონანტური (არაკართული ურისათვის) პარონი. შესავლის უკანასკნელი კორდა იცვება ა ნაწლის (Andante con moto — „შენ აქ ხარ“) — საწილი ტაქტების პარონი უფრო ფრად რომღუნდა იმგვარ საცარად სავა, ანტერუდ მაკური კორალი. მას მამაკეთი გუნდი წამოიწყებს. მუსიკა სავა-რომელითა ვერის და მშვენივრად გამოვ-ყვება იმ არმა მოწინებისა და მოკრძღების გარანტის, რომლითაც უმკარობინი არიან რუსთავლის უკანასკნელი სავანე წინაშე წარმდგარი ჩვენი თანამედროვენი. ამავე დროს, ეს არაკული ახალღუნლობით მონი-ლი მუსიკა წარმოავსებას თვით პოეტის თავსუფარსაც-საუფუნეთა უტუჯ მოწმებს, პატივდარი მღუმერისა გარისდულ ჯვრის მონატრის იტუსალაშობი.

„შენ აქ ხარ, აქ ხარ... მონატრის კარებს ათაწლის ლეცვებს, ვედრებს ქარებს დაგებეთ უმოდ შევავებთ ხელ...“

Andante con moto ♩ = 4

შენ აქ ხარ, აქ ხარ... და სტოლა... ცხა — ლა...
 Tu, zec'k ha, აქ ხარ — TOM KIM HC 33 sep.

ამ მელოდიაში მოცემული მხატვრული სა-ე შენარჩუნებელია მთელი კორეული ნაწი-ლის მანძილზე, მელოდის სხვადასხვა რეგის-ტრებში გადართული კომპონენტის მას მეტ მრავალფეროვნებას, ახალ ემოციურ კოლო-რივს აწივებს. კერძოდ, ძალზე ცხოვრად ვერის მელიოდის მორე კატარბე, რომელ-საც მას ქალთა ზემოე აიტაცებენ უყვარი სე-კუნდური მოღუდაცია (მ—Eს) მკვერი რიტორიული ნახტომი (დ—Eა) (მე ბე-კარ-ისი ზემოდ) უჩვეული პარონილილი ფუნქცი ქმნის, თითქოს დაბნეული ტაქტის სარქმელში შეურბა მზის პირველი სხივი, მე-ღუდაური და პარონილილი განვითარების ლიკავს მთავარად ახალ მასალაზე (ინდ-ელ თუ განვანა...) აგებული უკრძღობის (აქაც მინდა აღვანშინო უჩვეული და ამასთან შევად კალორიტული სვლა შემოკრბულ უქტავაზე — ფა დიჟე-ფა ბეკარ), სიდას მუ-სიკა მეტ სიბიბის, გულითაილი იმებს (ჩა-კრისი ირანა). ამ მასალას შემდგომ შე-ჯნვებით მე-7 ნაწილი („თამარი“), სადაც ემოციურად გარდასახული, იგი მინიშნელ-ოვან დრამატურული უჩვეულის იმებს. მუ-კარლის დასასრულს წუთით აღდგება მისი იარ-ტრისი უსახელოდან ნაცნობი კვარტალი ფი-რავა, რის შემდეგ კვლავ გაძლივდება ჩარ-თული კომპოზირი გალბა ჯგუფების ჩარ-თაყვები, ქალბები და მზოილდ უკანასკნელ მო-მენტში კომპოზირი იძლევა ლაკონური სულსმინავის (სა-უღმელ ტებე) და იქვე ხსნის მას. შო-ბმეგებულ მიმენტია.

მიმდევრად ნაწი-ლე (მ. „ანდანი“ Andante) გადასვლა კვლავ უტყუროდ ხდება, ეს ლაკო-ნური, რაინდვად აქ მკრძღვლად შესავლისა და პირველი ნაწილის მარტულე სა.ი. კვლავ დინე იმობრას, თვითარსებებელი ეტიკური იბრბა. ამ ნაწილს შემდგომ ეუფორბა „შოთას მონი-ლი“ (ქე პირველად შემოდის სოლოები — ზანი):

„შეგანა ვანდობი, მე კვარტულდო, მე რად დამბრალდა...“

მეორე ნაწილში უნდა გამოიყოს შემდგომ მიმდებელი: საუფროდ შოთას მონილოგი, რომელიც წაღვლიანი რიტორიკების სახითა მოცემული მას ეტისაკეთი ქასუზობს გუნდი (ძალზე გამოსახვლითა ტელეკა — დიდი რუსული“). შემდეგ — შუა ეტისო-რი (Largo) და ბოლის ისევ „მონილოგი“ და-მაგვარკვინებელი ფრასა. უნაწილი პოეტუ-რობითა გამსჭვალული შუა ეტისო-რი, ახე-ბული გურული „პატონების“ — ჩვენი სა-მდგარი ფოლკლორის ამ ფელმარკვლიტის მასალაზე, შესანიშნავად ნაწივის სახე, რა-კარგად გამოხატავს იგი ვერების, მუდარის ინტენაციას.

ორტარიის მესამე ნაწილი — „ვინ იყის, როგორ მელის ვარბა“ (სოლოდო) წარმდგომ თავის მამდარი ტრავკული ტონუსით მკვერი კონტრასტს შეადგენს წინა ნაწილებისადმი. პოეტი მმარბოვს ვარბას — კომპოზილი სა-ხელმწიფოებრივი ძლიერების სიმბოლის:

„ვინ იყის როგორ მელის ვარბა“
 რა დიდ ფორმბა,
 რა მშველ დარღუდა:
 როგორ აბიღუნდეს
 სამეცხე ქელები...
 ვინ იყის როგორ მელის ვარბა...“

მოკლე, დაქმული დინამიკური მიტვი (ისი ჩასახებრი და სიმბიანი სახეების ფორ-ტისიმოზე), რომლითაც იწყება ნაწილი — ეს თითქოს გულის სიღრმედაც აღმობდარი სა-სონარკვითობი ცენება, საწამობლობსაგან გან-შორების ტრავკული განცე. ზანის მკვერი დრამატული რიტორიკული პოეტის ნაღვლამ მოკრბებებს ვამრავლებს, დასაბოლობისა და მშენავანი დაქმობლობის გრანბოს ძირითადად მღუმელთა მუსიკის ინტონაციური სტრუქ-ტურით. მხედველობაში გვაკვს, კერძოდ, მუ-სიკ ტრავკინული სვლა, რომელიც ირგბ-ნის მეორედად აღწავალ სეკვენციას. ზანის მონილოვას რამდენიმე არრვევს ირგბ-ნის ზემობინებელი უმბილი, რომელიც გაისხის როგორც სადებისწერი მარტულე სიკვდილის ვარღუდობისა.

მიმდევრი (მეოთხე) ნაწილი — „პალესტინა“ (Moderato) ირტარობის ეტარ-ეტიო უვ-ლახე უკრძღობი და ამასთან ძალზე პოეტუ-რი გამომსახველი ფურტელეაჟანია. ნა.ზ.ე, გულითაიდ ვერის ქალთა გუნდი (a capella):

„სხვა რამ არ მშენადა
 სამშობლოზე წმინდათა წმინდა —
 შენიღული იღბურთა,
 მამულის წინ ყოვლის დათობა...“

ღრმა ექსპრესიონალი სახეს გუნდის ირგბ-ნის განმეორებელი ფსალმუნური უმბილი:
 „ო! პალესტინა, პალესტინა...“

შენ აქ ხარ, აქ ხარ... და სტოლა... ცხა — ლა...
 Tu, zec'k ha, აქ ხარ — TOM KIM HC 33 sep.

მეხუთე ნაწილი „ო, რნავ ჩემო“ (Andante) თავისებური ლირიკულ-ეპიგრამული ინტე-რისა, ეტარაღვლითა ვამბავსა წარმარბების ძირითადად ამაღლებული პოეტური საზღვა-დკორი მმარბოვს გურული მახლბარის, სმ-ღერის — „შუავა ჩემო“ მელიოდის და თავისებურად აღმაშვეებს მას. ქალთა გუნ-დი ვერის სიმბიბითა პიკეტავს ფორმე-რაც ჩინებურის მზოვებების ინტეკავს ქმნის.

ზურაბ გოგილაძე
 „ლექსი ლობის სწორია...“

დით მხედვებით მკვერე „საორგანო“ ფაქტურასაც და არა მარტო იმ ეტისოღდებში, სა-დაც უშუალოდ არის გამოყენებული ირგ-ანა.

ორტარიის მუსიკალური ენა ვარტენუ-ლად ძალზე სადა და მკეთია. ამავე დროს, მისი ინტონაციური სტრუქტურა საკმაოდ რთივიანაღური და რაფინირებულთა, ხოლო პარონილილი ენა თავისი თამამი მოღუდაცი-ობით, პოლემიანალიტი „დარჩევებებით“ მოწმობს კომპოზირის აზრთვების თა-ნადრობლობას და სიმპატელს.

ორტარიის იხსენება პატარა საორგესტრო დადებითი, რომელიც შესავლის უჩვეულის ასრულდება. ძუნენი, ლაკონური შტრიბები, შორტული, იღუდალად მოციმციმე სინალთ-დითილდა ნა.ი. მართოდვარე იყენება სა-უნკვარი სამშობლოზე, არბობა და ჩეღლებს აკორდების ფონზე ისმის ფელტის წყნარი, მისივანი სიმშვიდიო და კდმამოსილბობით მონილი მელიოდია. დადური შეუვავარი ნა-წარმოების მხატვრულ-ემოციური და სტი-ლისტურ „აბმოსიდროში“. მხედველობაში გვაკვს მისი კოლო-ინტონაციური და ტემ-ბრულ-ფაქტურული სტრუქტურა. ქართული საკალობლის ამაღლებული პოეტური წყობა და კეთილშობილი სისადაც, მისი სტილის-ტური კომპონენტები, რაც კადაქტივობის ნაწარმოების „სულსა და გულს“ და, ამავე დროს, მხატვრულ ფუნდამენტსაც შეად-გენს, ნაოღად იჩენს თავს უტევი ამ სწივის ტაქტებში. მაკაილდ გამოიყოფა ტაპირული ქართული საცეკვა-კვარტული მობრბობა, რაც ტემპობრა საციფიყურ შეხამებასთან ერთად (ფლუტა, ჩეღლებს, არფა) თავისებურ ნა-ტოდ, არამოწერი კოლორატს ქმნის. გომწერ-ბითა გამოყენებული კვარტ-კონტრაკორდების



ბედ სირბილამე

თამარი

ნაზად, სივრცითი მიმართავს პოეტი მშობლიურ ენას, რომელიც თავის გადახვეწილ შეიძლება უსუსულებს მართლობას:

„ო, ენავ ხემო, დედაო ენავ, შენ, ჩვენი ნიჭო, სიბოლავ და ფრენავ, შენ, ჩვენი სუნიტვის დიდი ღამიო, შენ, კირთა ჩვეთა ტბილო მალაო!“

ძირითადი მხატვრული სახე (ქალთა გუნდის მელიდა) შინაჩრუხუნულია ბოლომდე, თუმცა შუა მონაკვეთში მცირეოდენ დინამიზაციას განიცდის.

„ვეცქეს ნაწილი „დადახვეწილი“ (Allegro) — ერთ-ერთი ყველაზე შთაშვებავი და ამაღლებული ნაწარმოებში. იგი გამოირჩევა თავისი პირველი დრამატუზმით, თითქმის თეატრალური პათეტურობით, ესაა ასე ვთქვათ, ირატორიის Dies irae („სიბნელის დღე“) — კათოლიკური მების ნაწილი როგორც ალ. ნინია, ამ ნაწილის პოეტური ტექსტი აქაოთაქიმელს აღებული აქვს ა. ახშირის აღირინოვანი ლექსები, რომელიც არ შედის მის ციკლში, მაგრამ ძალზე ახლოსა მასთან თავისი მხატვრულ-პოეტური წყობით.

ესაა ირატორიის პირველი კულმინაციური მომენტი, რომელსაც გარდატეხა შეაქვს ლირიკულად შეფერილი ეპიკურ თხრობაში. ამიერიდან ნაწარმოების დასასრულამდე მკვიდრდება მემუნივარე ტრაგიკული განწყობილება. მეცქესე ნაწილის მეორე არაახლებ მნიშვნელოვანი დრამატურული ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ თავისი ტემპორიკული და ფაქტურული habitus-ითაც (ერთადერთი ალტერო მთელს ნაწარმოებში) მას შემოიქვს ესოდენ აუცილებელი დინამიკური კონტრასტი.

ეს ნაწილი აგებულია გუნდისა და შოთას (სოლოსტი-ბანი) დიალოგის ფორმით. ირგანისა და ორკესტრის მშფოთვარ ოსტიტატურ ფონზე გუნდი საგზის მიმართავს შეიკოთუი პოეტს: „რამ დადახვეწეა ამ მწველ ალმურში!“ — მტარობამ — არაი დლუტამ — არაი სიყვარულამ? — დიას, დიამა, დაუძლევლანა სიყვარულმამ.

კომპოზიტორის ოსტატურად აქვს დიდერენკობული, ერთის მხრივ, გუნდისა და ორკესტრის პირქუში, მრისხანე მუსიკა (გაყოფილი გამოყოფა ცემოდ, საყვირთა მაცარი კვირანო, „შემახილი“) და, მეორეს მხრივ, შოთას დიდი სიღარბასილთა და თავშეაგებულიობით გამორჩეული, მაგრამ შინაგანი ტრავიზმით აღსავსე ინტონაციები.

აქვე გვინდა პატარა შენიშვნა გავაკეთოთ. გუნდის ყოველი შეიკოთუის შემდეგ კომპოზიტორი მსმენელთა ყურადსაღებად ბანებს აღღევს „განმარტებით“ რეპლიკას: „რუსთაველის ხმა“. თავისთავად, ამ რეპლიკის მუსიკა ჩინებულია თავისი მაცარი არქაული კოლორიტით, მაგრამ ერთგვარად მიამიტი ოლუსტრაციულობით იგი შედმეტად გამოყოფრება შეტად მწუობრ და მხატვრულად მთლიან კონტექსტში. ვფიქრობ, რომ „მოქმედ პირთა“ პარტიები ქ უამისოდაც მყოფილდაა ინდივიდუალურბული და გამოჩნული კომპოზიტორად.

შემვიდე ნაწილი — „თამარ“ (Andante) ირატორიის მუსიკალური დრამატურების საყვანო მომენტია და მისი ტრაგიკული

კულმინაცია. პოეტი დასტორის თამარს, საშუალოდ მიმჩრალ შარავსდღეს.

ამ ნაწილის, ისევე როგორც მომდევნო (მეტვე) ნაწილის (სედე აღსრულია შოთა რუსთველი“) მუსიკა თავისი ამაღლებული ტრავიზმით, საერთო მხატვრულ-პოეტური წყობით (ერთ მომენტში კი ინტონაციურადაც) იწვევს ფალიაშვილის „ახსნალომ და თეირის“ გენიალური შესხეპ აქტის ასოციაციებს.

მოკლედ გავვეთ მუსიკალური „პერიოტიკების“ განვითარებას შემვიდე ნაწილში. ვასხვისოსნული, შინაგანი სისხტაკითი გამსკვალული ქორალო (სიმებაანი საყრავები მალდრევისტრში), რომლითაც იწყება ნაწილი, ბანის ნაღვლიანი მონოლოგიი იცვლება.

„თამარ, გოღებავ უნაბირო და უსასრული თამარ, დღითებავ, შეგი ჩასულა.“

ბანის მონოლოგიი თანდათან ხელდ უფრო

მდღვარე, დაქიმული ხდება და პათეტურ მწვერვალს აღწევს სიტყვებზე „მე სიყვარულით ვივთ აძირდილი“.

გუნდის ნაწილი იწვევს კიდევ უფრო ამბოვრებს იმეოციურ ტონუსს. ამ ნაწილისა და, შემოდება თიქვის, მთელი ირატორიის დინამიკური კულმინაცია სწორედ აქაა მოცეული. იგი აგებულია პირველი ნაწილიდან ნაცნობ დაძმავალ მოტივზე, რომლის ნაწი, თიქვის იდილიური სიმშვილედ აქ აღარადფერი რჩება. ორკესტრის მშლავი კომპაქტური ხმოვანება (შელოდ აქ აღღევს კომპოზიტორი განსახან — ისიც დროებით — ლითონის ჭეულს) ორგანულად ერწყმის გუნდის მუსიკის მხარეველ დინებს. კულმინაცია, ისევე როგორც მსოფლიოდ, ორკესტრის ყველა პრეპარაციები შეტაცედ შეყრული და დაკონიურია.

თქმთქმისთვის ირატორიის დიდ დრამატურადულ ღარსებს და, ამავე დროს, მხატ-



სურვი შევეკლიდე ტარილის შემბა ვეფხვთან

ვრული „მომგებიანობის“ ფაქტორს შეადგენს ის გარემოება, რომ მუსიკის ესთეტიკური და ემოციური შემოქმედების ძალა ნაწილობრივ ნაწილობრივ იზრდება და მწვერვალს აღწევს დასასრულსათვის. ორატორიის დაწყებით — შერვე ნაწილი „დღეს აღესრულა შოთა რუს-“

თელი“ (Andante), ჩემის აზრით, აჭარბებს თავის გამომხატველობით ყოველივეს, რაც კი შეუძენია კომპოზიტორს თავის ოცე წლის შემოქმედებით მოღვაწეობის მანძილზე. ხოლო ამ ნაწილის შთაბერ მუსიკალური სახე:

შეიძლება მივაუთვნოთ საუთუესო მგლო-ღორ მიგნებათა რიცხვს ქართული მუსიკის ისტორიაში.

აქ უკვე აღარ არის წინა ნაწილებსათვის დამახასიათებელი დრამატიზმი. დამკვირვებლს იხსენება, ესა თვისებური „სლუთა თანა“, სამგლოვიარო მიმნი, რეკვიემი:

„დღეს აღესრულა შოთა რუსთველი...“

კვლავად ზეილი, კვლავად უმცლელი, ათი დღე-ღამე უშველ-უსმგლო სენაის თვისის ქერს შესცქერდა

სწამად, სჭრაოდ, სწამდა, სჭრაოდა...“

ბანების მკაცრ ლამიადარულ მგლოდიან (ის. მაგ. № 8) მასუხობს შორეული ზარის რკევა. დრმა შთაბეჭდილებას ახდენს მომდევნო მონაკვეთი, სადაც გუნდი მოავითბრობს პოეტის აღსასრულის, მისი უფასკნელი წუთების შესახებ. კემზირიტა მისტრატოვი ძალითა სავსე ბანების რეტიტატივი: „შომი-უტტატი წუთისნილის ტრებილი ლურჯი: მა შენი ქართლი, შენი სამცხე და არტაქუჯი...“

ლითონის საკრავთა პათეტური მოტივი, რომელსაც მოსდევს გუნდის ექსტაზური შეძახილი „შოთა შოთა“ გვაუწყებს მომზადარი გარდატეხის შესახებ. დგება ნაწარმოების ყველაზე შთაბეჭდავი მომენტი Trionfi.

გუნდი და ორკესტრი ფორტისიმოზე სეცდენ რეკვიემის მგლოდიანს, რომელიც ამ კონტრა-სტუში მიმწერი სიდადისა და ზეიმობის ნიშნებს იძენს. მაგრამ კომპოზიტორი შორსა იდღური კონცეფციის ფორმალურ-პოთიო-ური გადაწყვეტასაც და ამის მკვენე-ელი ნაწარმოების დასკვნითი ტაქტები — კოდა, რომელიც სრული მიწყნარებით, გუნდის შორეული ექოთი შთავრდება: „სწამდა, სჭ-რაოდა...“

ოპოტიმეზობის ორატორია გულობლიდ მიილი თბილისელმა მსმენელმა. ორჯის დი-ლი წარბატებით შესრულდა იგი მოსკოვში.

დაეგვილია მისი შესრულება საბჭოთა კავ-შირის სხვა ქალაქებში. ნაწარმოების სიცოცხ-ლისუნარიანობა მისი მხატვრული ავკარბა-ნობის საუთუესო სასოშია, ამ მხრივ კი, ნა-წარმოების მომავალი, ვფიქრობ, უსრუნ-ველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს.

Andante $\text{♩} = 60$

B. 

დღეს ა -

B. 

ღე - ს რუ - ლა შო თა რუს - თველი -

VT - pu y - aye; 'ისაზ - ათი იო - ატ.

თინათინ ფიცელაური

„მზითვი“



ცნობილია: ძველად საქართველოში როდესაც ქალს ათხოვდნენ, მზითვად სხვა ნივთებთან ერთად შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას „ვეფხისტყაოსანი“ ატანდნენ. სიყვარულის, მეგობრობის და ვაჟკაცობის ამ დიდებულ ძიშნს ახლად შექმნილი ოჯახში ბედნიერება, სშვიდე, ურთვევი სიყვარული, სილაშავე უნდა შეე-ტანა და დაემკვიდრებინა; იგი მომავალი ოჯახის დღე-გრძელობის, კეთილდღეობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. დაიწყებას მიცემული ეს დიდებულ ტრადიცია გა-ნახლდა. თბილისის ოქტომბრის რაიონის ხელმძღვანე-ლი ამხანაგების ინიციატივით „ქორწინების სახლი“ ახლადშეუღლებულ წყვილებს ასაჩუქრებს შოთა რუსთა-ველის დაბადების 800 წლისთავზე გამოცემული მინი-ატურული „ვეფხისტყაოსნი“.

ახლავაზრდა მხატვარმა თინათინ ფიცელაურმა თა-ვისი ფერწერული ტილი „მზითვი“ დიდი შოთის დაბა-დების 800 წლისთავს მიუძღვნა. ნაშუფვარი ექსპონი-რებულა საქართველოს პროფტექნიკური განათლების კულტურის სახლი მოწყობილი ქართველ მხატვართა გა-მოფხანზე, რომელიც ამ დიდებულ იუმბილესთან დაკავ-შირებით გაიხსნა.

ტურგი გიორგი ერისთავი. ეს იყო პირველი ცდა „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანად უცხო ენაზე თარგმნისა. ამ თარგმანს ივანე კერესელიძე თავის უცრნად „სისყარში“ ვრცელი სტატიით გამოეხატა. სტატიას თან ერთვისდა თვით კაზიმირ ლაჩინსკის მიერ პოლონური გამოცემისათვის დაწერილი წინასიტყვაობა, რომლითაც მთარგმნელი მოკლედ აცნობდა პოლონელ ხალხს ჩვენი ქვეყნის ისტორიას და აღნიშნავდა რუსთაველის ნაწარმოების სრულყოფილ სიდიადეს. წინასიტყვაობის დასასრულს ლაჩინსკი დასძენდა, რომ მან ფრიად დიდი და სასახუსმგებლო საქმე იყისრა: „ამ თარგმანის მეშვეობით მე მსურს არა მარტო გავაცნო პოლონელ ხალხს რუსთაველის ეს მშვენიერი პოემა, არამედ დავუახლოვო არმოთეთს ქვეყანა ჩემს სამშობლოს“.

კახული საუყუნის ოთხმოცანა წლებში ქართული ლიტერატურის შესწავლას შეუდგა არტურ ლაიტი. მან უცხოეთის პრესაში გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია საქართველოზე და ქართულ ლიტერატურაზე. ილია ჭავჭავაძის, ივანე შანბლის, რაფიელ ერისთავისა და სხვათა დახმარებით იგი შეუდგა ქართული პოეზიის ანთოლოგიის შედგენას ბერმანულ ენაზე. ეს ანთოლოგია გამოიცა ქაიქ ლაიტიცში 1857 წელს და იგი თარგმნა ქართული პოეზიის პირველ ანთოლოგიად უცხო ენაზე. ა. ლაიტი პარალელურად მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე. იგი ისე გაიტაცა ნაწარმოებმა, რომ მოკლედ ხანში დაამთავრა მისი გერმანულად თარგმნა და 1890 წელს გამოიცა კიდევ ქაიქ ლრეზ-

თამაზ დედვარაძი
...აქ საყვარლოს მიმოიას...

რესთაველი სახელებების ხალხში ქნეაზე

გიორგი ჩიმაკაძე

ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა და, პირველ კოვლისა, შოთა რუსთაველის უკუდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს უცხო ენებზე საუფშველი ჩაეყარა ვასული საუყუნის ორმოციან წლებში. ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო ცნობილი ფრანგი მეცნიერი, ქართველოლოგი მარი ბროსე. იგი ქართული კულტურის ჯერ კიდევ უახლოესად აღიქმებდა. 1847 წელს მარი ბროსე საქართველოში ჩამოვიდა, დაუახლოვდა ქართველ მწერალ რაფიელ ერისთავს, გაეცნო ქართველ ხალხს, მის მატერიალურ და სულიერ სავანურს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან რამოდ-

ენიმე სამეცნიერო ნაშრომის გარდა („ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიის“ თარგმანები, ფუნდამენტური გამოკვლევა „საქართველოს ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა“ და სხვ.) ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოცა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწვევები.

იმავ ხანებში პოლონელ პოეტი კაზიმირ ლაჩინსკი, რომელიც პოლონეთში აკანუბის მონაწილეობისათვის რუსეთის შიარობის მიერ საქართველოში იყო გადმოსახლებული, დაინტერესდა რუსთაველის გენიალური ქმნილებით. თარგმნა იგი პოლონურ და მთაბერბა მისი გამოცემა ვარშავაში. ამ საქმეში მის დახმარებას უწევდა ცნობილი დრამა-





სიკო გირგვლიძე
ტარიელისა და
ავთანდილის
ღამიერილება

„ეს პოემა სატყეა განათლებული ერისა, — წერს მარკორი უორდროპო — რუსთაველი პოეტია მთელი ერისა, ხოლო მისი პოემა სასურერება ყველა კლასისა. იგი აღსავსეა სიცოცხლითა და ოპტიმიზმით. მეგობრობა საერთოდ, და განსაკუთრებით მეგობრობა კაცსა და ქალს შორის მოშობს ამ ერის მაღალ კულტურასა და ცივილიზაციას. რუსთაველისთვის დამახასიათებელია თავისუფალი, ღალი აზროვნება. მას ცხოვრების, სასურთარი ფილოსოფია აქვს. მთელი პოემა გამსჭვალულია თანასწორობის, კეთილშობილებისა და სიყვარულის იდეებით.“

შემდეგ მარკორი უორდროპო არჩევს პოემის აღნაგობასა და მის ენას, მხატვრულ მხარეებსა და ზერხებს. მართალია თარგმანი პროზაა შესრულებული, რითაც, რა თქმა უნდა მოლიანად იყარება რუსთაველის მეტაფორულ სურათებზე ოსტატის მთელი ძლიერება, მაგრამ საშარვეოდ კარგადაა გადმოცემული ტექსტის ოთხნაირი, აფორიზმები, პოეტური სახეები და შედარებები.

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანს ერეკლი სტატია უძღვნა „სახალხო გაზეთში“ (№№ 633 და 634 1912 წ.) ცნობილია მწერალმა თედო სახაკიამ. იგი აღნიშნავს, რომ თარგმანი თუმცა პროზააა შესრულებული, მაგრამ ისეთი დახვეწილი პროზაა, რომელიც კარგ ლექსს არ ჩამოუვარდება, უკველი სიტყვა ზედინფიქციის ზუსტად აღგლისურად თარგმნილი, ხოლო მეტად გაუგებარ და სიქვეა ადვილი, რომელიც ნაშედეგი მნიშვნელობა სადეთადა აიბარებულ თვით ქართველ მკვლევარსა მიერ, სკოლებში და რთული აქვს განმარტება ყველა ავტორისა, ვისაც ეს რაიმე უქუქვას სხენებელი სადეთო სიტყვის თუ ადვილი გაობ.“

თვით მარკორი უორდროპო აღტყებულ იყო პოემის სიდიდით. მოვიხსენიოთ მას: „ეს პოემა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარსულის მქონე, განათლებული ერის საყიდ იოგადა...“ იგი წარმოადგენს გმირობისა და სიყვარულის ამბავს, ქართველი ცხოვრების სურათს და მოწოდებს იმ შარის კუქმარტებას, რომ მისი ღირსება, ცხადშელო შეიხის წლის ცხოვრებით, რომელიც მეტწილად ტანჯილია და წვალებით იყო აღსავსე, ცხადევე უნდა იყოს სხვა ერისთვისც, რომ ასეთი წიხი განახლ უნდა ჩაიფიფლოს მთელის წაცობრობისათვის, განსაკუთრებით კი ისეთი ერისთვის, ვინც მსგავსად ვეუთუთა, ზერწმუნისა და ქრისტიანობის იფუთუთის გავლენისა განიცდის... მთელი პოემა თავიდან მოლომდის სასევა მეგობრობის ქება-დიდებათ და მკითხველის თავეწინ იშლევა ამბავი იმისა, თუ მართალია დარი სამი მეგობარი როგორ ეცლება თავს ერამენის... რომ ქალბეც იზიარებენ ასეთ იფიფლ მეგობრობისას, ეს ტარიელისა და ანსათის დამომობისგან ჩანს, და ეს გარემოებაც ერის უმაღლესი კულტურის დამადასტურებელია. ასეთი ურთიერეუკუშერი დღესაც არსებობს. ასეთ ჩვეულებათა გავლენის უნდა მივაწერიოთ ერის მხრივ უმაღლესი ცივილიზაცია, ხოლო მეორეს მხრივ კუქმარტებადაა აღბარებელი, რომ ქალისადმი პატივისცემა ძეგლისსველი კულტურის ნიშანია.“

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ჯიხის ადენი „ქართული ერის ისტორიაში“ (გამოც. ლონდონში 1922) რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ წერს, რომ ეს ნაწარმოები აღწერის სიდიდითა და სიცოცხელით, აგრეთვე ხასიათით ფსიქოლოგიის ცოდნით ძვირფასია, როგორც შუასაუკუნეთა აზროვნების თვალსაჩინო ძეგლი.

უფრო ადრე გაზეთ „დროკის“ № 256-ში დაიბედა ვორო შურის სტატია „ვეფხისტყაოსნის“ უხბო ენებზე თარგმნის შესახებ.


დენში ეს თარგმანი არც თუ ისე მაღალხარისხიანი იყო შესრულებული. მაგრამ თავის დროზე მაინც დიდი რეზონანსი ჰქონდა უცხოეთში. შემდეგ ლიხტენ შუდარბოთი უხუცი თარგმანს ალია კუქვაკიისა და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. გარდა მთარგმნელობითი მუშაობისა, არტურ ლისტის და სხვა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა საქართველოში, რომელიც მისთვის მცირე სამშობლოდ იქცა. იგი თბილისში გარდაცვადა ღრმა მოხუცებულ და აქვე დაკრძალული.

